ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## ილია მეორე: ადამიანმა ნებისმიერ საქმეში ზომა უნდა იცოდეს

გვ.2



ორშაბათი, 14 მარტი, 2011 №61 (5442) ფასი: 30 თეთრი

# სომხებმა ჯავახეთისთვის კონსტიტუციაც დაწერეს

ვინ დგას ანტიქართული გამოხდომების უკან

გვ.3



## სააკაშვილი მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობს

გვ.2

რას მიზანს ემსახურებოდა მისი და დონალდ ტრამპის შეხვედრა



## წინასწარ დაანონსებული რევოლუციის არ მჯერა

გვ.6

ოპოზიციისთვის ქვების სროლა უნდა შეწყდეს!

## ხელისუფლება რუსული ფულით ფინანსდება

გვ.5



სად მუშაობენ ჩინოსნების ცოლები



გვ.7

## სააკაშვილი ბრეჟნევს მაგონებს

## რატომ დასაჯეს ლევან ვეფხვაძე



გვ.4

## ოპოზიცია ქუჩაში რუსეთის დაკვეთით გამოდის

რას უწუნებს კობა ხაბაზი შეფიცულებს



გვ.4

## საქართველო ნარკოტიკების მთავარი სატრანზიტო დერეფანი ხდება

გვ.3

CIU Caucasus International University

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწავლების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს

გვ.5

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** ტრამპს საქართველოში ფული არ ჩაუდია

**3** ეროვნული ფორუმი ჩოჩელის მხილებას გეგმავს

**8** დიანა ლურწკაიას დასცინიან

**10** ზესტაფონელთა წაფორხილებით მღევრებმა ისარგებლეს

# სააკაშვილი მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობს

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილთან



***— ბატონო გელა, როგორ შეაფასებთ სააკაშვილის ვიზიტს ამერიკაში, მის შეხვედრას ტრამპთან. ისეთი ტონით საუბრობდა, თითქოს ეკონომიკურად ერთ-ერთი ძლიერი ქვეყნის წარმომადგენელი ყოფილიყო.***

— ეს ვიზიტი ჩვენი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი პიარკამპანიის ნაწილია. როგორც ჩანს, აქ ორმხრივი ინტერესები იკვეთება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რესპუბლიკური პარტიის ფავორიტი და მისი ხელდასმულია სააკაშვილი და იმის გათვალისწინებით, რომ დონალდ ტრამპი თურმე აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, არ არის გამორიცხული, რომ ეს მისი წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების ერთ-ერთი ელემენტი იყოს. ეს რაც შეეხება მის ინტერესს და იმას, რომ ხაზი გაუსვა მან, რომ რესპუბლიკური პარტიის შექმნილია საერთოდ ეს ფიგურა, როგორიც არის სააკაშვილი და მისგან ასეთი ქება-დიდება სულ არ იყო გასაკვირი. ეს გარკვეულწილად დარტყმაც იყო ობამას პოლიტიკაზე და მინიშნება, რომ ობამასგან იგნორირებული სააკაშვილი არის რესპუბლიკელების ფავორიტი. ეს იყო ტრამპის მხრიდან მოტივაცია, რაც მან ილაპარაკა სააკაშვილზე. რაც შეეხება სააკაშვილის მოტივაციას, რა თქმა უნდა, იყო ის, რომ კიდევ ერთხელ დაფიქსირებულიყო საერთაშორისო პრესაში, რომ რეალურად მას ჰყავს მხარდამჭერები და რომ საქართველო თითქოს არის სტაბილური, ისეთი ქვეყანა, სადაც ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებია და ტრამპი, ეს ცნობილი მილიარდერი, თითქოს საქართველოში დებს 250 მილიონ დოლარს. როგორც შემდეგ გაირკვა, ტრამპი არ დებს საკუთარ ფულს, ის ყიდის საკუთარ სახელს, ე.წ. ლიცენზიას და რეალურად აქ არსებობს სილქროუდ გრუპი, რომელიც როგორც ცნობილია, სახელისუფლო სტრუქტურის წარმომადგენლების ბიზნესია და სწორედ ისინი დებენ ამ 250 მილიონს და ფაქტიურად ეს არის ფულის გათეთრება. ჰქვია ტრამპის ფული და რეალურად არის აქაური ბიზნესის წარმომადგენლების მიერ ფულის გათეთრების მექანიზმი.

***— ბატონო გელა, დღეს საკმაოდ ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ სააკაშვილს აღარ აქვს მხარდაჭერა დასავლეთისგან და ამ ვიზიტით იმის ჩვენებაც ხომ არ უნდოდა, რომ ამერიკაში ჯერ კიდევ მცნობენ და მაღიარებენო?***

— რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი მიზანი ეს იყო. თუმცა, ცოტა საქმეში ჩახედული ადამიანებისთვის ნათელი იქნება, რომ ეს არ არის დასავლეთის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერა, ტრამპი არანაირ პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენს, არა თუ რაიმე სახელისუფლო სტრუქტურას. ის არის ერთ-ერთი ჩვეულებრივი მილიარდერი, რომელსაც თავისი ინტერესები აქვს, ისევე როგორც ვთქვათ ბერეზოვსკის, სოროსს და სხვა გავლენიან პიროვნებებს. ის არის გავლენიანი პირი, მაგრამ საკუთარი ინტერესების გამომხატველი, ის არ გამოხატავს პოლიტიკური წრეების, მით უმეტეს, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური წრეების პოზიციას.

***— სააკაშვილს ამით უნდოდა ხაზი გაესვა, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ სტაბილური მდგომარეობაა?***

— რა თქმა უნდა, ეს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც მისთვის მთავარია, რომ ეს იყოს წარმოჩენილი და ის ხაზს უსვამს მის ნომერ პირველ რეფორმატორობას, რომელიც ერთ-ერთმა რომელიღაცა ორგანიზაციამ გამოაცხადა. მოგეხსენებათ, რომ ეს რეიტინგები სისტემატურად ქვეყნდება, თუმცა, სხვა რეიტინგებზე სააკაშვილი ყურადღებას არ ამახვილებს, ის დემოკრატიის კუთხით ჩატარებულ გამოკითხვებსაც აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებს. მაგალითად, დღეს, რომ საქართველო მსჯავრდებულთა რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ას სულ მოსახლეზე პატიმართა და მსჯავრდებულთა რაოდენობით, ამას საერთოდ იგნორირებას უკეთებს და ამის წარმოჩენა საერთოდ არ სჭირდება.

***— რაც შეეხება ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს, როგორ ფიქრობთ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის მთავარი თემა უნდა იყოს ტრამპის სახელობის ცათამბჯენების აშენება?***

— ეს არის ტიპური მეთოდი ყურადღების გადატანის, სოციალური პრობლემებიდან რაღაცა ვირტუალურ წარმატებებზე, როგორიც იყო ასდოლარიანი პენსია, ასი საავადმყოფო, რა ვიცი, კიდევ უამრავი ისეთი დაპირება, რომლებსაც არ ეწერა განხორციელება და არც ის იყო შემთხვევითი, რომ 2015 წლამდე გადაიტანა ეს დაპირებები და არა თავისი ვადის ამოწურვამდე. ის საერთოდ აღარ ლაპარაკობს ქვეყნის გაერთიანებაზე, ნატოში შესვლაზე და ამ ვირტუალური დაპირებებით საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს აბრუებს. ჩვენდა საბედნიეროდ, საქმეში ჩაუხედავი ადამიანების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მცირდება და სულ უფრო მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ცარიელი დაპირებებით და ვირტუალური წარმატებებით კი არ იკვებება, არამედ რეალურად იკვებება იმით, რეალურად რაც ცარიელ ჯიბეში აქვთ და რაც ცარიელ მაცივარში აქვთ, როცა ყოველდღიურად ამას ხედავს ადამიანი და იმ პრობლემებს, რასაც ყოველდღიურად აწყდება.

***— სამაგიეროდ, 30-ლარიან სასურსათო ვაუჩერებს ურიგებს...***

— ეს 30-ლარიანი სასურსათო ვაუჩერებიც მხოლოდ პიარის ნაწილია საქმეში ჩაუხედავ ადამიანებზე გათვლილი და რეალურად, ალბათ, ეს 30-ლარიანი ვაუჩერის ფასი ადამიანებს ეხარჯებათ სულ რამდენიმე დღეში თუნდაც იმ მარტო გაძვირებული ტრანსპორტის და გაძვირებული ბენზინის შეძენის შედეგად. მარტო ის 20-20 თეთრი, რაც დაემატა სამარშრუტო ტაქსებს და რაც ამის შემდეგ დაემატება, მე აღარაფერს ვამბობ მანქანის მფლობელებზე ბენზინის ფასების მომატებაზე, ეს 30 ლარი უბრალოდ სასაცილოა და სამარცხვინო.

***— ბატონო გელა, ექსპერტების მხრიდან მოვისმინე ასეთი შეფასებებიც, რომ სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეობას უმიზნებს, ის ამით არც დასავლეთს გააღიზიანებს და ძალაუფლებასაც შეინარჩუნებს, პუტინიზაციასაც ვერავინ დააბრალებსო... თქვენი აზრით, რამდენად არის შესაძლებელი ამ ვარიანტის გათამაშება?***

— არ გამოვრიცხავ. დღეს მისი მთავარი მიზანი ხომ ის არის, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება. პრემიერ-მინისტრი ერქმევა, პარლამენტის თავმჯდომარე, პრეზიდენტი თუ საერთოდ არაფერი, ამას მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. დღეს მისთვის მთავარია, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს და ამ ძალაუფლების შენარჩუნებასაც ორი მოტივი აქვს, ჯერ ერთი, ის, რომ ძალაუფლება ადამიანებს რყვნის და როდესაც აბსოლუტური ძალაუფლება აქვს ადამიანს, ეს აბსოლუტურად რყვნის, ეს ცნობილი გამონათქვამია, ძალაუფლება ნარკოტიკივით არის და მას ვერ მოსცილდება და მეორე ყველაზე უფრო სერიოზული მიზეზი, რისთვისაც მას სურს, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება, მას რომ ეს ძალაუფლება არ ჰქონდეს, მან მშვენივრად იცის, რომ უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და ის მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად წარდგება და გასამართლდება სისხლის სამართლებრივი წესით. ეს მარტო თავის ძალაუფლებაზე კი არ არის დამოკიდებული მისი გეგმები, არამედ მიმართულია იქითკენ, რომ უბრალოდ ციხისგან გადაირჩინოს თავი.

***— სხვათა შორის, სხებისგანაც მოვისმინე ასეთი შეფასებები, რომ მას ორი არჩევანი აქვს — ან ხელისუფლებაში ყოფნა, ან ციხეო...***

— კი, ნამდვილად ასეა, ეს მე ადრე არაერთხელ მითქვამს.

***— რაც შეეხება საუბარს იმის შესახებ, რომ სააკაშვილს აწყობს დღეს არეულობა და ოპოზიციური პარტიები, ვინც რევოლუციაზე საუბრობენ, სააკაშვილის წისქვილზე ასხამენ წყალსო, რამდენად აწყობს დღეს სააკაშვილს ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვა?***

— საქმე ის არის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, რევოლუცია იქნება ეს თუ ეს იქნება არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა, ნებისმიერ შემთხვევაში საჭირო არის ორივეს განსახორციელებლად რეალური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის მსურველ ჯგუფებს თუ პარტიებს უნდა გააჩნდეთ. ახლა რამდენად არის საზოგადოება მომზადებული, ან ეს პარტიები მომზადებული იმისათვის, რომ ან ერთი გზა აირჩიონ, ან მეორე გზა, ყველაფერი დამოკიდებულია ამაზე, თორემ რეალურად ორივე გზა არის ერთი მიზნისკენ მიმართული — ხელისუფლების შეცვლისკენ, მაგრამ თუ არ ედგება ძალა უკან აი, ამ სურვილს, ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, ხელისუფლების წისქვილზე დაასხამენ წყალს. ისიც რომ ფორმალური იქნება იმ რვა პარტიის მცდელობები და მხოლოდ გააკეთილშობილებს სააკაშვილს და ლეგიტიმაციას მისცემს სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენას და ისიც, რომ რევოლუციის მოხდენის მცდელობაც ასევე სასუალებას მისცემს სააკაშვილს, ჩაახშოს ეს მოძრაობა და უფრო გაიმყაროს პოზიციები. ანუ რისი თქმა მინდა, რომ ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც, თუ არ იქნა ძალა იმდენი, რომ იყოს შანსი, ახლა გარანტია პოლიტიკაში არ არსებობს, მაგრამ იყოს რეალური შანსი ხელისუფლების შეცვლის, ასეთ შემთხვევაში, როგორც რევოლუციის იმიტაცია, ასევე არჩევნების იმიტაცია, რა თქმა უნდა, აწყობს სააკაშვილს. აი, ეს უნდა გაზომოს საზოგადოებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა, რამდენად არიან მზად ან ერთისთვის ან მეორესთვის. თუ არ არიან მზად, ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც, არჩევნებში მონაწილეობაც და რევოლუციის მოწყობაც მიმაჩნია მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის და ამ ხელისუფლების პოზიციების გამყარების ინსტრუმენტად, რომელსაც ის გამოიყენებს. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ესენი შეგნებულად გააკეთებენ ამას, უბრალოდ, ის ძალიან ოსტატურად გამოიყენებს აი, ამ შექმნილ ვითარებას. აქედან გამომდინარე, თუ არის ძალა, რა თქმა უნდა, შესაბამისმა ძალამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საარჩევნო გარემოს შექმნა, ხოლო თუ არ შექმნის და ვერ უზრუნველყოფს ამ საარჩევნო გარემოს, მაშინ ძალიან საეჭვო იქნება, რომ მათ რევოლუციის წარმატება უზრუნველყონ. ეს ორი პროცესი, მე ვფიქრობ, ერთმანეთთან უნისონში უნდა იყოს და თანაბრად უნდა იყოს საარჩევნო გარემოს შეცვლის იძულება ხელისუფლებისთვის ძალაზე დაყრდნობით. თუ ეს მან არ გააკეთა, მაშინ საზოგადოება უნდა წავიდეს ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლაზე.

### რას მიზანს ემსახურებოდა მისი და დონალდ ტრამპის შეხვედრა

***— დღეს ოპოზიციაში ჯერჯერობით ასეთი ძალა არ იკვეთება...***

— ამ ეტაპზე მე ამას, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, თუნდაც რამდენიმე თვეში ეს ძალა არ ჩამოყალიბდება. ყოველ შემთხვევაში ის ფაქტია, რომ ძალა იზრდება ოპოზიციის მხარეს და მცირდება სააკაშვილის მხარეს. მე ვგულისხმობ მორალურ ძალას, მე ვგულისხმობ პოლიტიკურ ძალას და არა რა თქმა უნდა, ავტომატებს და ბომბებს, რომელიც სააკაშვილს ასჯერ და ათასჯერ და მილიონჯერ მეტი გააჩნია და ოპოზიციას საერთოდ არ გააჩნია.

***— სისხლისღვრაზე თუა წამსვლელი სააკაშვილი?***

— აი, თუ მან დაინახა, რომ ის ერევა საზოგადოებას, როგორც ეს მოხდა 2007 წლის 7 ნოემბერს, რა თქმა უნდა, არის წამსვლელი ამაზე. თუ მან დაინახა იმხელა ძალა თუნდაც როგორც იყო 20 იანვარს 2008 წლის არჩევნების შემდეგ, ან 13 იანვრის, თუნდაც 26 მაისის, ანუ მასობრივი თუ იქნება ეს მოძრაობა და ეს წინააღმდეგობა, მე ვფიქრობ, რომ ის ვერ გაბედავს სისხლისღვრაზე წასვლას.



## ილია მეორე: ადამიანმა ნებისმიერ საქმეში ზომა უნდა იცოდეს

„ყოველმა ადამიანმა ნებისმიერ საქმეში ზომა უნდა იცოდეს“, — ბრძანა გუშინ ყოვლად წმინდა საპატრიარქო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

— ყოველი ადამიანი ძიებაშია. ეძებს მშვიდობას, სიმდიდრეს, სულიერებასა და მეტნაკლებად ღებულობს იმას, რასაც ითხოვს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მხოლოდ ადამიანისთვის მატერიალურადაა საჭირო, მაგრამ თითოეულმა ადამიანმა ყველაფერში ზომა უნდა იცოდეს, — აღნიშნა პატრიარქმა.

მისი თქმით, ერთხელ მას ერთი ბიზნესმენი ეწვია და დახმარება სთხოვა. „მირჩიეთ ფულის მოხვეჭაში როგორ გავჩერდეო. მე მას ვუპასუხე: რასაც ზედმეტად მიიჩნევ, გაჭირვებულებს დაეხმარე, რაც ბიზნესმენს ძალიან არ ესიამოვნა“.

უწმინდესმა იაპონიაში შექმნილმა მძიმე ვითარებაზეც გაამახვილა ყურადღება.

მთელი მსოფლიო მრავალი პრობლემის წინაშე დგას.

— ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ მშვიდობა, მთლიანობა და კეთილდღეობა მოგვცეს და ყოველი ჩვენგანი კარგ გზაზე დააყენოს, — ბრძანა პატრიარქმა.

ილია მეორემ მრევლს ხატების მადლი უსურვა.

**მედიანიუსი**

## „რუსთაველთან“ გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გუშინ თბილისში, მეტროსადგურ „რუსთაველის“ შესასვლელ კიბეზე ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

წინასწარი ინფორმაციით, 33 წლის მამაკაცის დაღუპვის მიზეზი გულის შეტევა გახდა, თუმცა საბოლოო პასუხს ექსპერტიზა დაადგენს.

ცხედარი ამჟამად პროზექტურაში გადასვენებული. შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიციასთან ერთად კრიმინალისტებიც იმყოფებოდნენ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## ტრამპს საქართველოში ფული არ ჩაუდია



ეკონომიკის ექსპერტის გია ხუხაშვილის განცხადებით, ის ფაქტი, რომ „ტრამპ ტაუერი“, როგორც ბრენდი, საქართველოში შემოვიდა, კარგია, მაგრამ საზოგადოება არ უნდა მოატყუო, რომ ბრენდთან ერთად დონალდ ტრამპმა ფულიც ჩადო. სინამდვილეში სასტუმროებს ქართული კომპანია აშენებს, და ეს გავლენიან უცხოურ გამოცემებში უკვე დაიწერა.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ხუხაშვილმა აღნიშნა, აპრობირებული მეთოდია, როცა ცნობილი სასტუმროების მფლობელები თავის ბრენდს სხვა ქვეყნებში ყიდიან, მაგრამ რეალურად ამ სასტუმროებს სხვები აშენებენ. ასეა საქართველოშიც. „რედისონის“, „შერატონის“ და სხვა ბრენდების მიღმა, სავარაუდოდ, ქართული კაპიტალი დგას.

— ასე მოხდა „ტრამპ ტაუერის“ შემთხვევაშიც. ხოლო, თუ ვინ დგას ამ კაპიტალის უკან ეს უკვე ჩემი კომპეტენცია აღარ არის. ტრამპის ბრენდის შემოსვლით, გარნდიოზული არა, მაგრამ ერთი პატარა კარგი საქმე გაკეთდა. მთავარი აქ ისაა, რომ ყველაფერი უნდა ითქვას ისე, როგორც არის. საზოგადოება შეცდომაში არ უნდა შეიყვანო. საბოლოოდ სიმართლე მაინც ირკვევა ხოლმე და ეს ცუდ შედეგებს იწვევს, — განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას გია ხუხაშვილმა.

**მედიანიუსი**



## ეროვნული ფორუმი ჩოჩელის მხილებას გეგმავს

„ეროვნული ფორუმი“ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს ცეზარ ჩოჩელს კანონდარღვევაში ადანაშაულებს.

როგორც „მედიანიუსს“ „ეროვნული ფორუმიდან“ აცნობეს, ჩოჩელის მხრიდან კონკრეტული კანონდარღვევის ფაქტებს დღესპარტიის ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენცია წარადგენენ.

„ეროვნული ფორუმში“ აცხადებენ, რომ აღნიშნული პრესკონფერენციით ისინი დაიწყებენ აქციას „მე „მიყვარს“ საქართველო“, რომლის მიზანიცაა ყოველ ორშაბათს წარუდგინოს საზოგადოებას კონკრეტული ფაქტები იმის თაობაზე, თუ როგორ „უყვარს“ მიხეილ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას საქართველო.

## საქართველო ნარკოტიკების მთავარი სატრანზიტო დერეფანი ხდება

„დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებით, საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ხელისუფლების არასწორი ანტინარკოტიკული პოლიტიკის გამო, ნარკოტიკული საშუალებების გადატანის მთავარი სატრანზიტო დერეფანი ხდება.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელმა თამარ ცინცაბაძემ განაცხადა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მარტის დასაწყისში მნიშვნელოვანი დოკუმენტები გამოქვეყნდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურების მიერ. დოკუმენტში მოყვანილი ინფორმაციის მიხედვით, 2009 წელს, ევროპაში საქართველოს გავლით შევიდა 7-დან 8 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერება, რისი აღმოჩენაც მოხდა არა ქართველი მებაჟეების, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების მიერ. როგორც დოკუმენტშია მითითებული, საქართველოს შესაბამისი სტრუქტურები ზოგ შემთხვევაში არ ფლობენ სათანადო ჩვევებს, ზოგ შემთხვევაში არ გააჩნიათ აღჭურვილობა ნარკოტიკული ნივთიერების გამოსავლენად.

— ირანთან უვიზო რეჟიმის ამოქმედება უუნარო საბაჟო სამსახურის პირობებში, კიდევ უფრო ზრდის საქართველოს ადგილს ნარკოგადაზიდვის გზაზე. 2009 წელს საქართველოში ამოღებულია 2,557კგ სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერება. 2010 წლის ცხრა თვეში — 2.5კგ, — განაცხადა ცინცაბაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ცნობით, საქართველოს შსს-ს მონაცემებით, 2010 წელს აღრიცხულია 133 500 ნარკოტიკის მომხმარებელი. ექსპერტთა აზრით, საქართველოში 200 000 ნარკომანია. თბილისში ჩატარებული კვლევებით მოზარდთა 27%-ს ერთხელ მაინც აქვს გასინჯული რომელიმე ნარკოტიკული საშუალება.

2009 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვდა 6336 ნარკოტიკის მომხმარებელი და გამსაღებელი, 2010 წლის ცხრა თვეში კი, — 4070.

**ინტერპრესნიუსი**

# სომხებმა ჯავახეთისთვის კონსტიტუციაც დაწერეს

## ვინ დგას ანტიქართული გამოხდომების უკან

თეა მარხვაი ე

**საქართველოს ძირძველი რეგიონის, ჯავახეთის მიმართ სომხეთში არაჯანსაღი დამოკიდებულება რომ არის, ყველას მოეხსენება. მთელი რიგი ორგანიზაციები და პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს სომხური მიწაა. და სომხეთისთვის მის დაბრუნებას ითხოვენ, უფრო ზომიერები კი ჯავახეთის ავტონომიაზეც თანახმა არიან.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ხელისუფლება კომენტარების გაკეთებაზე თავს არ იწუხებს. ამასობაში იუთუბიზე ჯავახეთის ჰიმნი, დროშა და გერბი გამოჩნდა.**

**საქართველოს ძირძველი მხარე კლიპში გამოსახულ რუკაზე ლურჯად არის მონიშნული. კლიპში გამოყენებულ ილუსტრაციებს სომხურ ენაზე დაწერილი ჰიმნის ტექსტი ახლავს. კლიპში ნაჩვენები ე.წ. ჯავახეთის დროშა ფერებით სომხეთის დროშას ჰგავს. ჯავახეთის ჰიმნი ზუსტად ოთხი წუთი და ოთხი წამი გრძელდება.**

**არმენოლოგ ბონდო არველაძისათვის ეს მოულოდნელი არ აღმოჩნდა. მისი თქმით, ორგანიზაცია „ჯავახკმა“ ჯავახეთის კონსტიტუციაც კი დაწერა. ეს 11 წლის წინ მოხდა. რა წერია ამ კონსტიტუციაში, რას გვედავებოდნენ სომხები ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს, ამ და სხვა თემებზე ბონდო არველაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

ბონდო არველაძე:

— ინტერნეტში ჯავახეთის ჰიმნი, დროშა და გერბი გამოჩნდა. ეს თავისთავად საგანგაშო ინფორმაციაა. ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. არ ყოფილა იმიტომ, რომ ჯერ კიდევ წლების წინ დაიწერა ჯავახეთის ავტონომიის კონსტიტუცია. რა გასაკვირია იგივე ძალები ჰიმნსაც თუ დაწერდნენ.

***— ვის მიერ და როდის დაიწერა ეს კონსტიტუცია?***

— ეს მოხდა 1998 წელს. ორგანიზაციამ ჯავახკმა გამოაქვეყნა ჯავახეთის ავტონომიის კონსტიტუცია. ეს ე.წ. კონსტიტუცია გამოქვეყნდა გაზეთი „ჯავახში“. ეს გაზეთი ამ ორგანიზაციას ეკუთვნის. ამდენად ჩემთვის გასაკვირი სულაც არ არის, რომ მავანმა და მავანმა ჯავახეთის ჰიმნი, დროშა და გერბი შექმნა.

***— ის ე.წ. კონსტიტუცია რას ითვალისწინებდა?***

— ამ კონსტიტუციის თანახმად სომხური ენა რეგიონულ ენად უნდა გამოცხადდეს, საუბარია იმ უფლებებზე, რომლებიც ავტონომიურ ერთეულებს აქვთ. ამასთან ითხოვდნენ რომ სომეხი ახალგაზრდები ჯარში არ წაიყვანონ.

***— ჯავახკისა და მსგავსი ორგანიზაციების გამოხტომებს ჩვენი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს. თქვენი აზრით ასეთი იგნორირება გამართლებულია?***

— მე სხვის რეაქციაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ალბათ როცა საჭირო გახდება მოახდენენ რეაგირებას. მე ჩემი მხრიდან ვცდილობ მეცნიერულად დავადასტურო, რომ რასაც ეს დაშნაკები და ვაი-მეცნიერები ამბობენ, არის სიცრუე. მე ამას ვწერ მომავალისთვის. ხმა რომ არ ამოვიღოთ, წლების შემდეგ სომხები გვეტყვიან, თუ მართლები იყავით ხმა რატომ არ ამოიღეთ. რეაგირება აუცილებელია თორემ ამან შეიძლება ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ვიღაცას ეს განცხადებები შეიძლება სასაცილოდ ეჩვენება, მაგრამ სასაცილოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე. არსებობენ სომხეთში ძალები რომლებიც იმუქრებიან, რომ საქართველოს ძალით წაართმევენ ჯავახეთს.

***— რამდენად სერიოზულ ძალას წარმოადგენს ეს ხალხი?***

— რამდენად სერიოზული ძალაა ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ანტიქართულ განცხადებებს აკეთებენ და იმუქრებიან.

***— ვინ და სად აკეთებს ასეთ განცხადებებს? მოდით დავაკონკრეტოთ.***

— ინტერნეტი სავსეა ასეთი განცხადებები. მე გაზეთ „ასავალ დასავალში“ 2006 წელს გამოქვეყნებულ ინტერვიუს მივაქცევ ყურადღებას. სომხეთში არის ასეთი ორგანიზაცია მოქალაქეთა გაერთიანება სომხურ-არიული ორდენი. მისი თავმჯდომარე გახლავთ ვინმე არმენ ავეტისიანი. მე მის მიერ გაკეთებულ რამდენიმე განცხადებას გავაცნობ თქვენს მკითხველს. ავეტისიანი შემდეგ რამეებს ამბობს: „მე არასოდეს დამიმალავს, რომ ჯავახი ძირძველი სომხური მიწაა და ის სომხებს უნდა დაუბრუნდეს. დანარჩენზე მოვილაპარაკებთ“. „თუ ომი მოგვიწევს ჯავახეთისათვის უნდა ვიომოთ, რათა სამშობლო დავიბრუნოთ. ჯავახეთი იყო ჩვენი, ახლა არის თქვენი. მოგვეცით მშვიდობიანად, არადა ომი გარდაუვალია“. ეს ინტერვიუც ნათლად მოწმობს იმაზე, რომ გარკვეულ ძალებს ძალიან ცუდი ჩანაფიქრი აქვთ ჯავახეთის მიმართ. ეს ახალი ამბავი არ არის. ჯავახეთზე პრეტენზიები სომხებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს ჰქონდათ.

***— საინტერესოა რუსებმა როგორ არ აასრულეს მათი მოთხოვნა?***

— მაშინ შეიქმნა სათანადო კომისია. ეს კომისია განიხილავდა გიუმრის გუბერნიასთან ჯავახეთის მიერთების საკითხს. ამ კომისიაში 5 კაცი შედიოდა. აქედან 3 სომეხი იყო და 2 არასომეხი. მათ დაადგინეს, რომ როგორც პოლიტიკურად ასევე ეკონომიკურად ჯავახეთის მიერთება სომხეთთან შეუძლებელი იყო. შემდეგ სომეხმა ბოლშევიკებმა დაიწყეს ამისთვის ბრძოლა.

***— ისინიც ჯავახეთის მიერთებას ითხოვდნენ?***

— არა მარტო ჯავახეთის.

***— კიდევ სხვა ტერიტორიებიც მოითხოვეს?***

— გასაბჭოების შემდეგ სომეხმა ბოლშევიკებმა მოითხოვეს ჯავახეთის და ქვემო ქართლის ნაწილის მიერთება სომხეთთან. ამაზე ცხონებულმა ივანე ჯავახიშვილმა 1925 წელს დაწერა წერილი. ამ წერილით დიდმა მეცნიერმა საბჭოთა საქართველოს მთავრობას მიმართა.

***— რას წერდა ივანე ჯავახიშვილი?***

— ის წერს, ჯავახეთის და ქვემო ქართლის ნაწილის სომხეთთან მიერთება ყოვლად გაუმართლებელიაო. ჯავახიშვილი ასაბუთებდა თუ რატომ არ შეიძლებოდა ამის გაკეთება.

***— ბოლშევიკებმა დაუჯერეს ჯავახიშვილს თუ კიდევ იყო რაიმე სხვა მიზეზიც?***

— ალბათ ამ წერილმა იქონია გავლენა. ამის გაკეთება რომ არ შეიძლებოდა ქართველი ბოლშევიკებიც მიხვდნენ. ეს საკითხი დაიბლოკა.

***— ამის შემდეგ თუ იყო კიდევ სომეხი ბოლშევიკებისგან ასეთი მოთხოვნები?***

— როცა საბჭოთა კავშირი მომძლავრდა კონსტიტუციაში შეიტანეს სათანადო მუხლი. ამ მუხლის თანახმად ვინც ხალხთა მეგობრობას ჩრდილს მიაყენებდა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა.

***— გამოდის რომ ამ მუხლმა შეაჩერა ისინი?***

— ასე გამოდის. ხმამაღლა ვერ ითხოვდნენ. თორემ გულის სიღრმიდან ეს მოთხოვნა არასდროს ამოუგდიათ.

***— თავის დროზე როგორც ამბობენ მათ ჩვენთვის ერთ-ერთი საპორტო ქალაქის გადაცემაც მოუთხოვიათ.***

— ასეთი მოთხოვნაც იყო. ამის ჯერ კიდევ დაშნაკები ითხოვდნენ, გინდა თუ არა ზღვაზე გასასვლელი გვინდაო. ამაზე მენშევიკებმა უარი უთხრეს.

***— მათ ზღვაზე გასასვლელი ნაწილობრივ მაინც მიიღეს. სოხუმიდან მათ უპრობლემოდ შეუძლიათ ზღვაში გასვლა.***

— ეს უკვე სხვა თემაა. საქართველო-რუსეთის ომში, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, სომხებმა თავი შეირცხვინეს. მე ამ შემთხვევაში აფხაზეთში მცხოვრები სომხები მყავს მხედველობაში. მათ ჩამოაყალიბეს ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი. ომში რომ მონაწილეობდნენ ეს ცალკე თემაა. მაგრამ სხვა საკითხია, რომ ეს ბატალიონი ჟლიტავდა მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას. თან გაჰკიოდნენ აფხაზეთი ჩვენიაო. იძახდნენ „აფხაზეთი, ეს ჩვენი პატარა სომხეთიაო“.

***— აფხაზებმა ეს თავგამოდება დიდად არ დაუფასეს. როგორც ამბობენ აფხაზებში სერიოზული ანტისომხური განწყობაა.***

— აფხაზები სომხებით აშკარად უკმაყოფილო არიან.

***— იმასაც ამბობენ, რომ სომხებს აფხაზეთზეც აქვთ პრეტენზიებიო.***

— პრეტენზიებზე ვერაფერს მოგახსენებთ. ვიცი, ომის დროს გაიძახოდნენ აფხაზეთი ეს ჩვენი პატარა სასომხეთიო. ახლა ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ აფხაზეთში რიცხოვნობით სომხები უფრო მრავლად არიან ვიდრე აფსუები.

***— ეს დადასტურებული ინფორმაციაა?***

— ოფიციალურად ეს ინფორმაცია არავის არ დაუდასტურებია. სხვადასხვა წყაროები ამის შესახებ ხშირად წერენ. როგორც მე მითხრეს აფხაზეთზე სომხებს გარკვეული პრეტენზიები აქვთ. ამის ნიადაგზე გარკვეული დაპირისპირება არის.

***— აფხაზები უკვე ღიად აპროტესტებენ იმ ფაქტს, რომ მთელ სავაჭრო ობიექტებს სომხები დაეპატრონენ.***

— ეს გასაკვირი არ არის. სომხები ძალიან ჭკვიანი ხალხია. რაც დრო გავა ისინი მით მეტ მნიშვნელოვან ობიექტს ჩაიგდებენ ხელში. რამდენადაც მე ვიცი ფინანსურად ისინი აფხაზებზე უკეთესად არიან.

***— ამბობენ, რომ ამაში მათ რუსეთიც უწყობს ხელს.***



— რუსეთი მათ მართლაც უწყობს ხელს. ამიერკავკასიაში რუსეთს ერთადერთი დასაყრდენი ჰყავდა. ეს იყო სომხეთი. ამდენად რა გასაკვირია, რომ რუსები სომხებს შეუწყობენ ხელს. მნიშვნელობა არა აქვს სად იცხოვრებენ ისინი. კრემლში სულელები არ სხედან. მათ კარგად იციან, რომ აფხაზეთში მცხოვრები სომხები მათი ერთგულები არიან.

***— აფხაზები არ არიან მათი ერთგულები?***

— აფხაზებს ბოლომდე არ ენდობიან.

***— არსებობს მოსაზრებები, რომ სომხებსა და აფხაზებს შორის საქმე შეიძლება შეიარაღებულ დაპირისპირებამდეც კი მივიდეს.***

— მე დარწმუნებული ვარ, მოსკოვი ასეთ რამეს არ დაუშვებს. იმ შემთხვევაში თუ რამე მოხდა მგონია, რომ უფრო სომხების მხარეს დაიჭერეს.

***— აფხაზებს არ ედობიანო ზევით თქვით და რატომ არ ენდობიან? ბაღაფში და მისი ხელისუფლება დღედაღამე რუსეთის მზეს ფიცულობენ.***

— აფხაზეთში მარტო ბაღაფში და მისი ხელისუფლება არ ცხოვრობენ. რუსებმა ძალიან კარგად იციან აფხაზების განწყობა მთლიანობაში. რამდენიმე წლის წინ ისინი რუსეთს შეიძლება მხარსაც უჭერდნენ. ახლა უკვე მიხვდნენ, რომ ლომის ხახაში შეყვეს თავი. რუსეთის მიმართ აფხაზეთის მოსახლეობის განწყობა შეიცვალა. რუსებმა ეს როგორც უკვე გითხარით კარგად იციან. ამიტომაც მფარველობენ აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს ასე ძალიან. შემთხვევითი არც ის არის, რომ სომხების რაოდენობა აფხაზეთში ასე იზრდება.

***— აფხაზეთში სომხები ადრეც ხომ ცხოვრობდნენ.***

— ასეთი რაოდენობით არ ცხოვრობდნენ. რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან მასობრივად ჩადიან იქ სომხები. ეს შემთხვევითი ამბავი არ არის. მართალია აფხაზები იჩემებენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართო, მაგრამ რუსების ნებართვის გარეშე იქ ვერავინ ჩავა. რუსებმა კარგად იციან ვის უნდა ენდონ. ისინი აფხაზებს აღარ ენდობიან. აღარც აფხაზები ენდობიან რუსეთს. 30-40 წლის შემდეგ აფხაზეთში აფხაზები სანთლით იქნებიან საძებარი. თუ დროზე არ დააღწიეს რუსეთს თავი საერთოდ გადაჯიშდებიან.

***— ამ საფრთხეს აფხაზები ვერ გრძნობენ?***

— როგორ ვერ გრძნობენ. ჭკვიანი აფხაზები ამ თემაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ.

***— თუ გრძნობენ საფრთხეს რატომ არაფერს აკეთებენ რუსეთისგან თავის დასაღწევად?***

— რუსეთისგან თავის დაღწევა ასეთი იოლი არ არის. აფხაზები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. ეს „დამოუკიდებლობა“ მათ შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეთ. შედეგს უკვე ხედავენ, მაგრამ ეს არ არის საბოლოო. კიდევ ბევრი რამე შეიძლება მოხდეს. რუსეთს თუ დასჭირდა მათ წინააღმდეგ სომხურ კარტსაც გაათამაშებს.

***— ასეთი კარტი, როგორც ამბობენ, რუსეთმა შეიძლება საქართველოშიც გაითამაშოს.***

— არაა გამორიცხული. ზემოთაც გითხარით, რომ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან მოსკოვს ამიერიკავკასიაში სომხების სახით ერთადერთი დასაყრდენი ჰყავს.

***— თქვენც ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ანტიქართულად განწყობილი სომზური ორგანიზაციების უკან რუსეთის სპეც-სამსახურები დგანან?***

— არაფერი არ არის გამორიცხული. შეიძლება ამ ორგანიზაციების უკან რუსეთის სპეც-სამსახურებიც დგანან. ზოგიერთი ორგანიზაცია და ესა თუ ის პიროვნება საკუთარი ინციატივით მიმართავს ანტიქართულ საქმიანობას. კი ბევრი ანტიქართული გამოხტომა ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მთელი სომხეთი ასე ფიქრობს. ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ და ძმური ურთიერთობები გვაქვს. თუმცა უვარგისები ყველგან არიან. მე მჯერა, რომ სომხეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საქართველოს მიმართ დადებითად არის განწყობილი.

# ოპოზიცია ქუჩაში რუსეთის დაკვეთით გამოდის

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი კობა ხაბაზი დარწმუნებულია, რომ მოსახლეობა ქუჩაში სპონტანურად არ გამოდის და ისინი პოლიტიკურ ლიდერებს გამოჰყავთ.**

**კობა ხაბაზი იმ ძალების გააქტიურებაზეც საუბრობს, რომლებსაც თვალი რუსეთისკენ უჭირავთ. ვის აწყობს საქართველოში დესტაბილიზაცია და რა გზას აირჩევს ზოგიერთი პოლიტიკოსი?**

**„ახალი თაობა“ კობა ხაბაზს ესაუბრა.**

***— რადიკალური ოპოზიცია აქციებისთვის ემზადება. რით დასრულდება ოპოზიციის აქტიურობა?***

— რით არის განპირობებული ოპოზიციის აქტიურობა, აქედან უნდა ამოვიდეთ. ამის შემდეგ შეიძლება პასუხის გაცემა, რით შეიძლება დასრულდეს ეს აქტიურობა. ქუჩის აქციების მომხრეების ნაწილის აქტიურობა განპირობებულია იმით, რომ მათ საქართველოში დესტაბილიზაცია სურთ. არ შემეშინდება და ღიად ვიტყვი, რომ ამაში ვხედავ რუსეთის, მათი ბატონების დაკვეთას. საქართველოში დესტაბილიზაცია დღეს მხოლოდ-დამხოლოდ ხელს აძლევს რუსეთს. თუ დავაკვირდებით რუსეთში განვითარებულ მოვლენებს, საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება ყალიბდება რუსეთის ხელისუფლის მიმართ. სანამ საქართველო რეფორმების თვალსაზრისით წარმატებული ქვეყანა იქნება, მანამ ისინი მშვიდად თავს ვერ იგრძნობენ, რადგან რუსეთში ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც იქ ანალოგიური რეფორმების გატარებას მოითხოვენ. თუ რუსეთს სურს, ისტორიაში დარჩეს როგორც ძლიერი, განვითარებული ქვეყანა, დემოკრატული რეფორმები უნდა გაატაროს და ოკუპანტურ პოლიტიკაზე უარი უნდა თქვას.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციის გააქტიურების დროს ყოველთვის რუსულ კვალს რატომ ეძებთ? ხომ შეიძლება, ოპოზიცია ქუჩაში ხალხის დაკვეთით გამოვიდეს?***

— ხალხის დაკვეთით ოპოზიციის გამოსვლის მე არ მჯერა. აქტივობას ყოველთვის განაპირობებენ ლიდერები. ხშირად მომისმენია ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის ფრაზა: მე მოვედი აქციაზე, იმიტომ რომ, ხალხმა დამიძახა. სინამდვილეში, ტოტალური სამუშაო სჭირდება აქციაზე ხალხის გამოყვანას: ადამიანების ინფორმირებულობა, რაიონული ორგანიზაციების მაქსიმალური აქტიურობა, შეხვედრები, დაანონსება, ტრანსპორტირება. ეს ძალიან რთული პროცესია. ეს სპონტანურად არასდროს ხდება.

***— აქციების დაწყების წინ სულ რუსულ კვალზე რატომ ხდება მინიშნება?***

— ჩვენ აქციებში რუსულ კვალს არ ვეძებთ. როდესაც საპარლამენტო მწვავე დებატებია, საერთოდ არ ვეძებთ რუსულ კვალს ამ დებატებში. მაგრამ, როდესაც ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოღაიდელი რაღაცას დააფინანსებენ, ბუნებრივია, ეს არის რუსული კვალი. ზუსტად ვიცი, რუსეთის ამოცანა რა არის და რა უნდა საქართველოსგან. ასეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ბოლო პერიოდში რუსეთმა ბურჯანაძეს ყური აუწია და უთხრა, ვერაფერს შენ ვერ აკეთებო. ამიტომ დაიწყო ბურჯანაძემ რაღაცების დაანონსება. თავადაც ხვდება, ამით შედეგს ვერ მიიღებს, მაგრამ, თავის ბატონს უნდა აჩვენოს, რომ აქტიურობს და გულხელდაკრეფილი არ ზის. ეს არის მცდელობა იმისა, რომ ბურჯანაძემ რუსეთის გული მოიბრუნოს. გარკვეულ ოპოზიციურ ძალებს შორის ბრძოლა იმაზე კი არ მიდის, ვის რა ხედვას აქვს, ვინ როგორ ფიქრობს ქვეყნის მომავალზე, არამედ, ორ რაღაცაზე მიდის ბრძოლა: ვინ უფრო რადიკალური იქნება, რათა რუსეთის მხარდაჭერა იგრძნოს და მეორე — ვინ უფრო მეტად ასიამოვნებს რუსეთს და ღიად დააანონსებს რუსეთთან კავშირს. ამ მხრივ მართლა მარათონია გამართული.

***— ამ მარათონში ვინ ვის სჯობნის?***

— არ ვიცი. ამ მარათონში ვინ ვის სჯობნის, ეს პუტინმა და მის გუნდთან დაახლოებულმა პირებმა იციან. ვინ სჯობნის, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ, ამაზრზენია იმის ცქერა, ზოგიერთი როგორ სამარცხვინოდ იქცევა. ალარაფერს წმინდას არ ტოვებენ, იგივე „შეფიცულთა რაზმი“, რომელიც საქართველოში არსებობდა, მისი სახელის გადმოღებასაც კი ბედავენ. ის კი დავიწყებიათ, რომ ეროვნულ გმირს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, „შეფიცულების“ უმთავრეს მიზნად ეწერა რუსული ოკუპაციის საქართველოდან აღმოფხვრა. ერთადერთ შემთხვევაში არ ვიქნებოდი ასე აგრესიული — თუკი ამ „შეფიცულების“ წინ ერთ სიტყვას დაამატებდნენ: ბურჯანაძეებისადმი შეფიცულნი, იმიტომ რომ, თუ ვინმეა ამ ორგანიზაციაში, ყველგან ბურჯანაძე ფიგურირებს.



## რას უწუნებს კობა ხაბაზი შეფიცულებს

***— რას უწუნებთ „შეფიცულებს“? მათ არსად არ უწერიათ, რომ რუსულ ოკუპაციას ეთანხმებიან?***

— კარგად მახსოვს ე.წ. სახალხო პატრული, რომელიც თავის დროზე შექმნეს. გულუბრყვილო უნდა ვიყო, რომ ვერ მივხვდე, რა იმალება ამ სახელწოდების უკან. საზოგადოების, ხალხის ე.წ. დაცვა რაღაცისგან, საბოლოო ჯამში, იქითკენ არის მიმართული, რომ დესტაბილიზაცია შექმნან საქართველოში და დაპირისპირების მორიგი ტალღა ააგორონ. ყველა თავისუფალია თავის მოქმედებაში, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში, მაგრამ, სახელწოდებას ჩემთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომლისთვისაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი, „შეფიცულთა რაზმი“ და მათი საქმიანობა გარკვეულ მაგალითს წარმოადგენდა. სიმბოლიკას მაინც სცენ პატივი. ქაქუცა ჩოლოყაშვილსაც კი არ უფიქრია ქაქუცასადმი შეფიცულთა რაზმის ჩამოყალიბება. საქართველოსთვის შეფიცულების რაზმი ჩამოაყალიბა. ბურჯანაძემ კი ბურჯანაძეებისადმი შეფიცულთა რაზმი ჩამოაყალიბა.

***— სახალხო კრების გარდა, აქციების გამართვას „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებიც აპირებენ. ამ პარტიის მიერ აქციების წამოწყებაზე რას იტყვით?***

— თავის დროზე, როდესაც ეროსი კიწმარიშვილის ამ პარტიაში ყოფნის შესახებ გავიგე, მაშინვე ვთქვი, რომ „ქართული პარტიის“ მაგივრად უნდა დაარქვან „რუსული მიზნების პარტია საქართველოში“. კიდევ ერთი: ამ დროს რატომღაც ნოღაიდელი აღარ ჩანს.

***— თქვენი აზრით, ზურაბ ნოღაიდელი რატომ არ აქტიურობს?***

— ეტყობა, იდეები დაასწრეს. ახლა ნოღაიდელი შეეცდება, უფრო რადიკალური რაღაც მოიფიქროს...

***— უფრო რადიკალური მაინც რა შეიძლება მოიფიქროს?***

— ალბათ, გამოვა და განცხადებას გააკეთებს, რომ ვიღაცას ხელებს დაამტვრევს. ერთი ნოღაიდელისგან ხელებდამტვრეული ადამიანი მანახვა და მეტი არაფერი მინდა. მეღიმება, როდესაც ნოღაიდელი და ბურჯანაძე ასეთ განცხადებებს აკეთებენ.

***— რას იტყვით ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე? ისიც ხომ ფაქტია, რომ 20 და 30-ლარიანი ვაუჩერები ვერ უზრუნველყოფს სოციალური პრობლემების გადაჭრას?***

— რაც შეეხება 20 და 30-ლარიან ვაუჩერებს, თვეების წინ ძალიან ბევრი ოპოზიციური პარტიის განცხადება იყო, რომ ხალხს უჭირს, ელექტროენერგიის გადასახადს ველარ იხდის, ფასები გაიზარდა და სახელმწიფომ რაღაც მაინც უნდა გააკეთოს. სახელმწიფო სწორედ იმდენს აკეთებს, რამდენიც შეუძლია. თუკი ადრე ჩვენ შეგვეძლო, პენსია 5 ლარით გაგვეზარდა და 40 ლარი გაგვეხადა, დღეს შეგვიძლია, 100 ლარამდე გავზარდოთ. მეტი რომ შეგვეძლოს, ამას არ გავაკეთებდით? ყველაზე ადვილია, ბიუჯეტი გაყო მოსახლეობის რაოდენობაზე და ხალხს ფული დაურიგო, მაგრამ, ერთი წლის შემდეგ ამას რა მოჰყვება, ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა პირველ რიგში ამაზე უნდა იფიქრონ.

***— არავინ ამბობს, რომ ბიუჯეტი უნდა გაყოთ მოსახლეობის რაოდენობაზე და ხალხს დაურიგოთ, მაგრამ ზაფხულში ხომ შეიძლებოდა, 30-ლარიან ვაუჩერებს რაც თანხა სჭირდება, ანუ 30 მილიონი ლარი სოფლის მეურნეობაში ჩადებულიყო და ხორბალი და პური არ გაძვირებულიყო?***

— ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვიწინასწარმეტყველოთ, ავსტრალიის დატბორვიდან დაწყებული, მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმებით დამთავრებული, ყველაფერი? ყველამ იცის, რა ტრაგედია მოხდა იაპონიაში, შემზარავი კადრები ვნახეთ. ხვალ შეიძლება იაპონური მანქანების ფასმა აიწიოს ბაზარზე, იმიტომ რომ ქარხნებმა დროებით შეწყვიტეს მუშაობა. იგივე შეიძლება ვინმემ თქვას,გეწინასწარმეტყველათ, მანქანები შეგესყიდათ და იაფად მიგეცათ მათთვის, ვისაც მომავალში დასჭირდებაო. მანქანისა და ხორბლის შედარება შეიძლება ცუდია, მაგრამ ფაქტი ერთი და იგივეა, ერთ შემთხვევაში — წყალდიდობა და მეორე შემთხვევაში — ცუნამი. ჩვენ პოლიტიკოსები ვართ და არა წინასწარმეტყველები. პრეტენზიცია არა გვაქვს, რომ წინასწარმეტყველები ვართ. რაც შეეხება იმ პრეტენზიას, რომ ფული სოფლის მეურნებაში უნდა ჩაგვედო, სოფლის მეურნეობის პროდუქტს გზა სჭირდება, რათა ადგილამდე მიიტანო. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებას სჭირდება ელექტროენერგია, მიწის დამუშავებას სჭირდება ტრაქტორები. სწორედ ამას ვაკეთებდით ამ წლების განმავლობაში: გზებს ვაგებდით, ელექტროენერგიის პრობლემა არ არის, ტრაქტორები ვიყიდეთ, სასუქით ვეხმარებოდით მოსახლეობას. პრეზიდენტის ინიციატივით სოფლის მეურნეობისთვის დამატებით 150 მილიონი გამოიყოფა.

***— ოპოზიცია გსაყვედურობთ, რომ ხელისუფლება მეხანძრის პრინციპით მოქმედებს?***

— ჩვენ მეხანძრის პრინციპით არ ვმოქმედებთ, ჩვენ გაცილებით უფრო შორს ვიხედებით და უფრო გრძელვადიან საკითხებზე ვფიქრობთ, როდის რა უნდა გაკეთდეს. როდესაც გვიკიჟინებენ, ეს გააკეთეთო, პარალელურად უნდა გვითხრან, რას მოვაკლოთ ეს თანხა. მოვაკლოთ გზების მშენებლობას? კარგი საინვესტიციო გარემოს შექმნას თუ რას.

***— ადმინისტრაციული ხარჯები შეიმცირონ მინისტრებმა და რამდენიმეათასიან პრემიებს ნუღარ დაინიშნავენ...***

— ამის შესახებ პრეზიდენტმა რამდენიმე განცხადება გააკეთა და ადმინისტრაციული ხარჯები მკვეთრად შემცირდა.

***— წელიწადში ზოგიერთი მინისტრი 40-50-ათასიან პრემიას როდესაც იწერს, ეს ხარჯების შემცირებაა?***

— ნამდვილად არ ვიცი, 50-ათასიანი პრემია რომელმა მინისტრმა გამოიწერა. რა თქმა უნდა, 50 ათასი ლარი პრემია არავინ უნდა აიღოს. მათ ნაცვლად პასუხს ვერ გაგცემთ, იმიტომ რომ ამის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი. დეპუტატები ხელფასის გაზრდაზე უარს ვამბობთ, იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური ფონი მძიმეა. თუ 50 ათასი ლარი გჭირდება, ბანკს უნდა მიმართო, სესხი აიღო და ნელ-ნელა გადაიხადო.

***— დავუბრუნდეთ აქციების თემას. თქვენი აზრით, უახლოეს ხანში ოპოზიცია შეძლებს ქვეყანაში მრავალათასიანი აქციების მოწყობას?***

— რაც შეეხება აქციებს, ოპოზიციური პარტიის მიერ კანონის ფარგლებში ხალხის აქციაზე გამოყვანა დემოკრატიული განვითარების სტანდარტებში ჯდება. მე გული დამწყდება, თუკი ათას კაცს გამოიყვანს ნინო ბურჯანაძე. გული დამწყდება, თუკი ათას კაცს გამოიყვანს ზურაბ ნოღაიდელი. გული დამწყდება, თუკი ათასი კაცი მაინც გაჰყვება ეროსი კიწმარიშვილს, იმ ადამიანებს, რომლებიც პირდაპირ ასრულებენ რუსეთის დაკვეთას. საშინლად დამწყდება იმ ადამიანებზე გული, ვინც მათ გაჰყვება. სინამდვილეში, საზოგადოებისგან ასეთი პოლიტიკოსები მინიმალურ მხარდაჭერასაც არ უნდა გრძნობდნენ, უფრო მეტიც, საზოგადოებაში სადაც გავლენ, ხალხის მხრიდან უნდა ხედავდნენ მათი ქმედების დაგმობას, ხალხი მათ „გამარჯობას“ არ უნდა ეუბნებოდეს, დემონსტრატიულად ზურგს უნდა აქცევდეს. რუსეთისკენ გახედვა არის ისევ სისხლი, საქართველოს ისევ გაჩანაგება, ისევ გაუბედურება, ისევ ის რუსული ჩექმა, რომელმაც, მსოფლიოში სადაც კი დააჯიბა, არსად ათეული წლების განმავლობაში ყვავილიც კი არ ამოსულა.

# სააკაშვილი ბრეჟნევს მაგონებს

შორენა გონგლა ე

**„ამერიკას რუსეთის ხელისუფლებასთან და რუსი ხალხის დიდ ნაწილთან საქართველოს საკითხზე აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა აქვს. ჩვენ რომელიმე ქვეყნისგან გავლენის სფეროების გადანაწილებას არ მივიღებთ, ამასთან, სირთულეების მიუხედავად, ამერიკა არც ერთ ქვეყანას, რომელიც დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების გადასაგდებად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეეცდება, მხარს არ დაუჭერს“, — ეს სიტყვები ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს ეკუთვნის, რომელიც მან მოსკოვში, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას წარმოთქვა. ვის გულისხმოდა უშუალოდ ამ სიტყვებში ბაიდენი, არის თუ არა ეს იმის მიმანიშნებელი, რომ სააკაშვილი ამერიკის ადმინისტრაციაში ჯერ კიდევ „ცვეტშია“ და რატომ უწოდებენ სააკაშვილს ამერიკაში „ძაღლიშვილს“, ამ და სხვა თემებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი საუბრობს.**

***— ბატონო ჰამლეტ, ბაიდენმა „დემოკრატიული“ გზით მოსული ხელისუფლებისთვის მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. რას გულისხმობდა ამ სიტყვებში ჯოზეფ ბაიდენი, ვისკენ იყო კონკრეტულად ეს მიმართული?***

— ამერიკის მხრიდან, რომ სააკაშვილს მხარდაჭერა აქვს, ამას მხოლოდ ბაიდენის სიტყვები არ ადასტურებს. ამ ბოლო ხანებში არ ყოფილა არც ერთი მაღალი რანგის პოლიტიკოსის გამოსვლა, რომ არ ესაუბროს ამაზე. ავიღოთ ბიზნესმენ ტრამპის გამოსვლა. მან თქვა, რომ სააკაშვილი არის ამომავალი ვარსკვლავი, დემოკრატიის შუქურა და ასე შემდეგ. ისეთი ქებათაქება, როგორიც ტრამპმა დაახვავა სააკაშვილთან შეხვედრის დროს, კარგა ხანია არ მომისმენია და, სიმართლე გითხრათ, ბრეჟნევის პერიოდი გამახსენა, როდესაც ბრეჟნევის გამოსვლის შემდეგ იყო ხოტბათახოტბა დანარჩენი პოლიტბიუროს წევრების მხრიდან. ცხადია, ეს ყველაფერი იყო მომზადებული და ქება აუცილებლად უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში მე ვთვლი, რომ ტრამპიც მომზადებული იყო. მან ისიც განაცხადა, რომ რესპუბლიკრი პარტიიდან შესაძლოა დააყენოს თავისი კანდიდატურა და, თუ ეს მართლაც მოხდა და გაიმარჯვა არჩევნებში, მაშინ წარმოიდგინეთ სააკაშვილის ბაირამობა საქართველოში. ასე რომ, ტრამპი, ბაიდენი, მაკკეინი და სხვები, ყოველთვის მხარს უჭერდნენ და უჭერენ სააკაშვილს, რაც არის ელემენტარულად ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აწყობს სააკაშვილისნაირი ხელისუფალი საქართველოში. მას აქცენტი აქვს გაკეთებული სააკაშვილზე, არ აინტერესებს საზოგადოებრივი აზრი, არ აინტერესებს არავითარი ოპოზიციური განცხადებები და მოსაზრებები სააკაშვილთან და მის ხელისუფლებასთან მიმართებით და მომავალშიც მხარს დაუჭერს იმ პიროვნებას, რომელიც გაატარებს ამერიკულ პოლიტიკას საქართველოსა და კავკასიაში. სააკაშვილმა ამ ბოლო ხანებში არაერთი ნაბიჯი გადადგა იმისათვის, რომ თავი გამოეჩინა ნამდვილ ამერიკელთა ინტერესების დაცვით იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ჰქვია კავკასია და საქართველო. ავიღოთ თუნდაც დამოკიდებულება რუსეთისამი, ახალი ტელევიზიის გახსნა, რომელიც ანტირუსული პროპაგანდის წყაროა და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი მიმართულია ერთი მიზნისკენ. ეს არის პრინციპი, „ხელი ხელს ბანს, ორივე — პირს“. სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ამერიკელებს ნებისმიერ წამოწყებაში და ამერიკაც მხარს უჭერს სააკაშვილს ასევე ნებისმიერ ქცევასა და პოლიტიკაში. ის, რაც თქვა ბაიდენმა, ცხადია, პირდაპირი გაგებით საქართველოს მიმართ არ უთქვამს, მაგრამ საქართველო უნდა ვიგულისხმოთ. ასეთმა გათითოებულმა პოლიტიკოსთა მხარდაჭერამ მიიყვანა ამერიკის პოლიტიკა კრახამდე და ეს კრახი იგრძნობა ყველგან, მთელ არაბულ სამყაროში. არაბული ავტორიტარული მმართველების მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ ის, რასაც ამბობს ამერიკის შეერთებული შტატები — ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატია და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი არის ბლეფი. როდესაც ამერიკას უნდა, მხარი დაუჭიროს ვინმეს, არა აქვს მნიშვნელობა, დემოკრატი იქნება, ადამიანის უფლებების დამრღვევი თუ სხვა რამ, მისთვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს პიროვნება იყოს ლოიალურად განწყობილი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ასეთ დამოკიდებულებას აქვს ადგილი სააკაშვილთან მიმართებით. სააკაშვილი არის მისი „ძაღლიშვილი“. ამერიკაში უყვართ ასეთი გამოთქმა. პირველად ახსენა ამერიკის პრეზიდენტმა ეს სიტყვა დიქტატორ სომოსასთან დაკავშირებით. მან თქვა, მართალია, ის კი არის ძაღლიშვილი, მაგრამ ის ჩვენი ძაღლიშვილიაო. ასე რომ, სააკაშვილი არის ძაღლიშვილი. ეს კარგად იცის ამერიკამ, მაგრამ ის არის ამერიკის ძაღლიშვილი და ამიტომ თავის ძაღლიშვილს ამერიკა არ გაწირავს.

***— კიდევ ერთი ტერმინი, რომლის მოსმენა და გამეორება ჩვენს ხელისუფლებას ძალიან უყვარს, განსაკუთრებით აქტიური იყო რუსეთ-ამერიკას შორის გადატვირთვის პოლიტიკის დაწყებისას, თუმცა დღემდე კეთდება განცხადებები ამერიკელთა მხრიდან, რომ საქართველო რჩება მის სტრატეგიულ პარტნიორად. ამერიკის ინტერესებს საქართველოს ინტერესები არ შეეწირება. რატომ მახვილდება ამაზე ყოველთვის ყურადღება და რა იმალება ამ ტერმინის უკან?***

— ამ ტერმინის უკან იმალება მთავარი რამ: სააკაშვილი ამერიკას ჰყავს იმისათვის, რომ მისი პოლიტიკით პრობლემები შეუქმნას რუსებს. მართალია, რუსებთან ამერიკას აქვს ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკა, ამერიკა-რუსეთს შორის მთელ რიგ საკითხებში არის შეთანხმება, მაგრამ, არის საკითხები, რომლებიც ვერ თანხმდება მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. ამერიკის შეერთებული შტატები თვლის, რომ ის არის მსოფლიოში პირველი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ხელისუფლება რუსული ფულით ფინანსდება

## სად მუშაობენ ჩინოსნების ცოლები

შორენა კოწოწაშვილი

**„თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების საკითხი, რომელიც რუსეთიდან ფინანსდება, გადაწყვეტილია. ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში მშვიდობიანი პროტესტით, თუნდაც ხელებშეკრულები და ამით დაანახვოს ხელისუფლებას, რომ ის არ გაისვრის.**

**შაშიაშვილის თქმით, რუსეთის გარეშე აქ ხელისუფლება არ მოვა. ამიტომ ქართველ ხალხს მეტი აქტიურობისა და ეროვნული ინტერესების დაცვისკენ მოუწოდებს.**

**რა თანხებით ფინანსდება ხელისუფლება რუსეთიდან და სად მუშაობენ ხელისუფლების წევრების ცოლები და ოჯახის წევრები? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს თემურ შაშიაშვილთან.**

*— ბატონო თემურ, რამდენად მძიმე ვითარებაა შექმნილი ხელისუფლებისთვის? ოპოზიციას იმედი აქვს, რომ დასავლეთი მხარს არ დაუჭერს სააკაშვილის გაპრემიერებას. ისიც ითქვა, რომ სააკაშვილის ჩანაცვლების საკითხი ფაქტობრივად შეთანხმებულიაო.*

— ჩემი აზრით, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა არა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ, არამედ უმძიმესი მდგომარეობა ხელისუფლებამ შეუქმნა ქართველ ხალხს. ტრაგედია ისაა, რომ სწორედ იმ უზნეო პოლიტიკოსთა პარპაშმა, ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში, ხალხში ძალიან დაამძიმა პოლიტიკოსისადმი დამოკიდებულება და შიშმა დაისადგურა. ადამიანებს აქ იმაზე უარესი მდგომარეობა აქვთ შექმნილი ხელისუფლებისგან, ვიდრე აფრიკულ ქვეყნებში. შეიხებს შეშურდებოდათ, ისე ცხოვრობენ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, პირადად პრეზიდენტი. ნებისმიერ შეიხს შეშურდება, უცხოეთში როგორ დადის სააკაშვილი, როგორ სასტუმროებში ცხოვრობს, როგორ გადაადგილდება საქართველოში, რა სასახლე აიშენა სიხარულის 5-ში. ეს ის საკაშვილია, რომელიც პრეზიდენტობამდე ამბობდა, რად მინდა ბინა, ოროთახიან ბინაში ვიცხოვრებ, ვიქირავებო. როგორი ორსართულიანი სახლი აქვთ გაკეთებული აგერ ვერაზე, სადაც მის მეუღლეს — სანდრას რადიოგადაცემა აქვს გაკეთებული და პრაქტიკულად იქ ცხოვრობს. ბარათაშვილის ხიდზე რომ გადმოვდივართ, როგორც ამბობენ, 1400 მეტრია და რა „ტუნელები" და როგორი სასხლე აიშენა, გესმით თქვენ?! ნებისმიერ შეიხს ეს რომ მოუყვეთ, გეტყვით, ჩვენ ასე არ ვცხოვრობთო. უნახავმა რა ნახაო. როგორც ჩანს, ამათ არც ბავშვობა ჰქონიათ, არც არაფერი უნახავთ. ასე დააჯდნენ ხალხს თავზე. თვითონ შეიხებივით ცხოვრობენ, ხალხი ფაქტობრივად მონობაშია. ეს არის 21-ე საუკუნის ბატონყმური ცხოვრება. 5-10 ლარით ზრდიან პენსიას და ხალხს ტაშს აკვრევინებენ ამ უკიდურესი გაჭირვების დროს. პენსია გაიზარდა 5-6-ჯერ. რატომ გაიზარდა 70-ჯერ გამგებლის, გუბერნატორების, მინისტრების და ა.შ. ხელფასები? სააკაშვილის ერთი დღის სამივლინებო თანხა სასტუმროს და ტრანსპორტის გარდა, არის პენსიონერის მთელი წლის პენსია. ეს რა თავგასულობაა? ამიტომ, ზემოთ რომ მკითხეთ, გპასუხობთ: მძიმე მდგომარეობაში ხელისუფლება კი არ არის, მძიმე მდგომარეობაშია ხალხი. ამ ხელისუფლებას გარეთ მხარდაჭერა რომ არ აქვს, ეს დიდი ხანია ცნობილია. დღეს არის ხელისუფლების შეცვლის საუცხოო მომენტი. ქვეყნის გარეთ ექსპერტების, მთავრობათა ხელმძღვანელების, ანალიტიკოსების აზრი და ქართველი ხალხის აზრი არათუ დაახლოვდა, არამედ ერთი და იგივეა. უბრალოდ, მათ თქვეს: კი, ჩვენ თურმე ვცდებოდით, მაგრამ ახლა სიტყვა ქართველ ხალხზეა. როგორც კი ეს ითქვა, აქ



გაგრძელება მე-7 გვერდზე

# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწავლების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს

Caucasus International University

ნათია ხურცილავა









თანამედროვე მსოფლიოში წარმატებული კარიერა მხოლოდ მრავალმხრივი ცოდნითა და მაღალპროფესიული უნარ-ჩვევებით მიიღწევა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, მიზანმიმართულად წარმართავს თავის საქმიანობას და პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. უნივერსიტეტი ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც თავიანთი წარმატებული მოღვაწეობით ხელს შეუწყობენ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის მართვის მექანიზმების სრულყოფას. ფართოვდება საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ბრნოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ზიგენისა და ოდლარ იურდუს უნივერსიტეტებთან. დაგეგმილია სამომავლოდ საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაფართოება.

უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლა-აღზრდისა და მათი პროფესიული დაოსტატების საქმეს სათანადო გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები ემსახურებიან.

უნივერსიტეტის რექტორად არჩეულია კიოტოს უნივერსიტეტის მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კახაბერ კორძაია, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, ხელმძღვანელობდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამას „ლიბერალური განათლების კონცეფცია", კითხულობდა ლექციებს იაპონიის, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერსიტეტებში, აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის დიდი გამოცდილება.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სწავლებას ახორციელებს განათლების ორ საფეხურზე, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით. ამ დროისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს ოთხი ფაკულტეტი:

**ბიზნესის ფაკულტეტი** სტუდენტებს სთავაზობს ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიურ პროგრამებს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე. ამზადებს თანამედროვე, საერთაშორისო დონის შესაბამისი ცოდნით აღჭურვილ პროფესიონალებს, რომლებიც გახდებიან ლიდერები ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის სფეროში. ამაში მათ დაეხმარება სწავლის პროცესში გავლილი სტაჟირება ქართულ და უცხოურ წარმატებულ ორგანიზაციებში.

**იურიდიულ ფაკულტეტზე** ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაატარონ იმიტირებული სასამართლო პროცესები თანამედროვე დიზაინით მოწყობილ უნივერსიტეტის იურიდიულ კლინიკაში და გამოიმუშაონ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები. იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტებთან მუშაობენ დარგის აღიარებული პროფესორ-მასწავლებლები და ფართო საადვოკატო პრაქტიკის მქონე იურისტები.

**ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე** ხორციელდება პროგრამები საერთაშორისო ურთიერთობისა და ჟურნალისტიკის მიმართულებებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის სასწავლო-შემოქმედებითი ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ჟანრის საგაზეთო პუბლიკაციების, სატელევიზიო სიუჟეტებისა და გადაცემების, გაზეთების მომზადება-გამოშვების პრაქტიკული სწავლება.

**მედიცინის ფაკულტეტზე** სასწავლო პროცესი ხორციელდება დიპლომირებული მედიკოსისა და დიპლომირებული სტომატოლოგის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით. 2010-2011 სასწავლო წლიდან ფაკულტეტზე ამოქმედდა ფარმაციის მიმართულება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სახით. სასწავლო პროცესის მაღალკვალიფიციურად წარმართვისათვის გამოიყენება თბილისის მოწინავე კლინიკები და სამეცნიერო კვლევითი ბაზები, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.

უნივერსიტეტში გამოიცემა რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე".

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურითა და ელექტრონული ტექნოლოგიებით, რომელიც შედგება გარე და შიდა საბიბლიოთეკო ფონდებისაგან.

სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი გარე საბიბლიოთეკო ფონდები: EBSCO publishing წარმოადგენს ჟურნალებისა და საცნობო გამოცემების უდიდეს კოლექციას, ხოლო Cambridge University press — მონაცემთა ბაზა მოიცავს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ 190-ზე მეტ ჟურნალს. სისტემატურად მიმდინარეობს ბიბლიოთეკის გამდიდრება ახალი ლიტერატურით. ბიბლიოთეკა ჩართულია იურიდიული ლიტერატურის ელექტრონულ საბიბლიოთეკო პროგრამაში „სწვუჩ".

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად მოიძიონ და მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომლის მიზანია სტუდენტების აკადემიური, ინტელექტუალური, ფიზიკური, სულიერი, კულტურული, ეთიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული დეპარტამენტისა და სტუდენტთა თვითმმართველობის თანამშრომლობა უზრუნველყოფს ჯანსაღი, შინაარსიანი, უსაფრთხო სტუდენტური ცხოვრების ყველა პირობას. უნივერსიტეტის სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში. საუნივერსიტეტო გუნდებმა იასპარეზეს საქართველოს სპორტის ფედერაციის ინიციატივით ჩატარებულ „უნივერსიადა-2010"-ში სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, მინი-ფეხბურთი, ცურვა. მათ მძლეოსნობაში მოიპოვეს პირველი და მეორე საპრიზო ადგილი, ხოლო მინი ფეხბურთში — მესამე.

თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, კომფორტული სამუშაო გარემო, სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების მუდმივი მოდერნიზაცია, საინტერესო საჯარო შეხვედრების მოწყობა ზრდის სტუდენტის მოტივაციას. უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ხშირად ეწყობა საჯარო გამოსვლები და შეხვედრები მათთვის სასურველ სტუმრებთან. „მოწვეული სტუმრის" პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება აქვთ, კონტაქტები დაამყარონ პოლიტიკის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის ცნობილ წარმომადგენლებთან, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ შემდგომ დასაქმების პერსპექტივას და აფართოებს სტუდენტების თვალსაწიერს. შედეგად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იღებს იმ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შემდგომი წარმატებების საფუძველია როგორც პირად-პროფესიულ, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე თვითდამკვიდრებისა და კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებაში.

უნივერსიტეტი გამოირჩევა თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობითაც. იგი მდებარეობს ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და უმსხვილესი რაიონის, თემქის შემაერთებელ მაგისტრალზე, რომელიც უზრუნველყოფილია ინტენსიურად მოძრავი ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებით, რაც მოსახერხებელს ხდის უნივერსიტეტში მიმოსვლას.

# წინასწარ დაანონსებული რევოლუციის არ მჯერა

## ოპოზიციისთვის ქვების სროლა უნდა შეწყდეს!



**ინტერვიუ „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძესთან**

***— „პოლიტიკური რვიანისა“ და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით 9 მარტს მორიგი შეხვედრა შედგა, რომელზეც ხელისუფლებამ თავისი პოზიციები გაგაცნოთ. რამდენად მისაღებია „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“ ხელისუფლების პოზიცია?***

— „პოლიტიკური რვიანისა“ და ხელისუფლების წარმომადგენლების ბოლო შეხვედრაზე, ფაქტობრივად, მხოლოდდამხოლოდ ხელისუფლების საწყისი პოზიციების მონიშვნა მოხდა. თუ მოლაპარაკებებს წარმოვიდგენთ გარკვეულ წრფედ და ამ წრფეზე ოპოზიციის მიერ მონიშნულ უკვე ერთ წერტილს, რომელიც დეკემბრიდან მოყოლებული ჩვენს მიერ შეთავაზებული წინადადებების პრეზენტაციებს ეძღვნებოდა, მეორე წერტილი სწორედ 9 მარტს მოინიშნა, როდესაც ხელისუფლებამ წარმოადგინა თავისი ხედვა საარჩევნო სფეროში გასატარებელი რეფორმებისა. რა თქმა უნდა, სიტყვა რეფორმები მათ მიერ წარმოდგენილ ვარიანტს ნაკლებად შეიძლება ეწოდოს. თუმცა ეს მაინც არის უკვე ორი მონიშნული და გამოკვეთილი წერტილი მოლაპარაკებათა წრფეზე, რის შემდეგაც უკვე რეალური მოლაპარაკებათა პროცესი უნდა დაიწყოს, ჩვენი პოზიციები უნდა დაახლოვდეს და საბოლოოდ ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწიოთ. რაც შეეხება ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს გეტყვით, რომ მას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეც. დადებითად მიმაჩნია ბიომეტრიული მონაცემებით საარჩევნო სიების შედგენასა და არჩევნების ჩატარებაზე ხელისუფლების დათანხმება, თუნდაც საქართველოს დედაქალაქის მასშტაბით, ანუ ხელისუფლებამ დაინახა და აღიარა, რომ ეს პრობლემა არსებობს. მე, როცა დადებით მხარეზე ვსაუბრობ, დადებითად სწორედ ის მიმაჩნია, რომ, ფაქტობრივად, ხელისუფლებამ საქართველოს დედაქალაქში ბიომეტრიული მონაცემებით არჩევნების ჩატარებაზე მზადყოფნის გამოთქმით მოახდინა აღიარება იმისა, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არსებობს, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ სივრცე მოლაპარაკებისთვის შემდგომში გახსნილია საიმისოდ, რომ, შესაბამისი თანხების მოძიებისა და პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, არჩევნები მთელი საქართველოს მასშტაბით ბიომეტრიული მონაცემებით ჩატარდეს.

***— ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რეგიონებში არჩევნების ბიომეტრიული მონაცემებით ჩატარება ფინანსური პრობლემების გამო ვერ მოხერხდება. მართლაც ფინანსურ პრობლემებთან გვაქვს საქმე თუ ეს უბრალოდ მიზეზია და რეალურად ხელისუფლებას არჩევნების ბიომეტრიული მონაცემებით ჩატარება მთელი საქართველოს მასშტაბით არ სურს? და დათანხმდებით თუ არა მათ ამაზე?***

— ჩვენთვის ეს მიუღებელია. ჩვენ ვთვლით, რომ ბიომეტრიული მონაცემებით არჩევნების ჩატარება მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა მოხდეს და თუკი მთავარ არგუმენტს ჩვენი ოპონენტებისა წარმოადგენს ფინანსები. ამასთან დაკავშირებით ერთი კვირის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე ჩემ მიერ ნათქვამ ფრაზას გავიმეორებ: დემოკრატიას აქვს თავისი ფასი. ამ შემთხვევაში ყველას კარგად გვესმის, რომ საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება მოითხოვს დამატებით ფინანსურ დანახარჯებს. ჩემი ღრმა რწმენით და კონკრეტული დაანგარიშებითაც ის ფინანსური დანაკარგი, რომელიც ჩვენს ქვეყანას მიადგა და ადგება არამდგრადი საარჩევნო სისტემის გამო, გაცილებით მაღალია, ისევე, როგორც ფასი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იხდის საარჩევნო პროცესის მიმართ არსებული უნდობლობის გამო, არის რამდენჯერმე უფრო მეტი, მათ შორის წმინდა ფინანსური და ეკონომიკური დანაკარგების თვალსაზრისითაც, ვიდრე ის ერთჯერადი დანახარჯი, რომელიც ჩვენ უნდა გავიღოთ საიმისოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაში არჩევნების გაყალბებაზე საუბარი დამთავრდეს.

***— გამოდის, რომ ხელისუფლებას არჩევნების ბიომეტრიული მონაცემებით ჩატარება მთელი საქართველოს მასშტაბით არ სურს... სურვილის შემთხვევაში ფინანსებიც მოიძებნებოდა, უცხოელი მომღერლების ჩამოსაყვანად ფინანსები ხომ მოიძებნება ხოლმე...***

— ჩვენ ხელისუფლებას ვერ ავყვებით იმის მტკიცებაში, რომ არჩევნებზე ნაკლები ფულის დახარჯვა შეღავათია სოციალური ფონის გაუმჯობესებისთვის. პირიქით არის ეს. თუკი ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური პროცესები არ განვითარდა, თუკი ბიზნესს არ ექნა შეგრძნება იმისა, რომ საქართველოში რაიმე ტიპის რევოლუციური გადატრიალებები, აჯანყებები და ათასი უბედურება არ დატრიალდება, ჩვენ ყოველთვის უკან-უკან წავალთ ეკონომიკურად და სოციალურადაც. ხელისუფლების არგუმენტებიც რომ გადავდოთ და მხოლოდ შიშველ ციფრებსა და ფინანსურ მონაცემებს ჩავუღრმავდეთ, დავინახავთ, რომ აქაც უხეში ტყუილის თქმის მცდელობასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც ხელისუფლება ამბობს, რომ 180 მილიონზე მეტი დაჯდება ბიომეტრიული მონაცემებით არჩევნების ჩატარება, მაშინ როდესაც ჩვენ დავდეთ კონკრეტული დაანგარიშება, რითაც როგორც ქართული, ასევე უცხოური სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის სრულიად ნათელია, რომ ის სისტემა, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, ანუ მისი ხარჯები 66 მილიონ ლარს არ აღემატება.

***— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ხომ არ ფიქრობთ, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევა?***

— სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ 9 მარტი იყო რეალურად პროცესის დასაწყისი და არა დასასრული. მოლაპარაკებათა წრფეზე ოპოზიციისა და ხელისუფლების მხრიდან ორი საწყისი წერტილი მოინიშნა და ახლა პოზიციების დასაახლოვებლად სერიოზული მუშაობა უნდა დაიწყოს. ამ ეტაპზე, ჩვენ ველით როგორც ქართველი საზოგადოების მეტად აქტიურ მხარდაჭერას, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მეტ აქტიურობას ამ პროცესისადმი, რადგან ახლა უკვე მაგიდაზე თითქმის ყველა წინადადება დევს და უფრო ადვილია მსჯელობა იმაზე, რომელი გადაწყვეტილებები წარმოადგენს გზას გამოსავლის საპოვნელად და რომელი შექმნის გარანტიებს სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად. ამ მოლაპარაკების დროს ყოველთვის ხაზს ვუსვამ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას და ვეუბნები ჩვენს ოპონენტებს: ნუ დაკარგავენ ენერგიას საიმისოდ, რომ ჩვენ დაგვარწმუნონ მათ მიერ შემოთავაზებული წინადადებების სისწორეში. ეს არ არის მთავარი ამოცანა. მთავარი ამოცანაა ის ადამიანები, რომლებიც არჩევნებზე არ დადიან ან დიდი სკეპტიციზმით არიან განწყობილნი, დავარწმუნოთ იმაში, რომ ამ ქვეყანაში არჩევნებს აზრი აქვს. ამიტომ, ჩემი ამოცანა, როგორც ხელისუფლების ოპონენტისა, არის არა სურვილი საჯარო პაექრობაში, გაზეთის ან ტელევიზიის მეშვეობით ხელისუფლების დაჯაბვნა ჩემი არგუმენტებით, არამედ ის, რომ მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას, რომლითაც ჩვენს ამომრჩეველს დავარწმუნებთ, რომ არჩევნებზე მისვლას აზრი აქვს და სწორედ ისინი მოახდენენ ქვეყანაში ხელისუფლების ფორმირებას.

***— და თუ არ მოხდა პოზიციების დაახლოება და ვერ შეთანხმდით საბოლოოდ, შემდეგ რა იქნება, ამ შემთხვევაში რას აპირებთ, ბატონო გიორგი?***

— იცით, როცა მოლაპარაკებათა პროცესში შედიხარ და ამ მოლაპარაკებების სუბიექტი თავად ხარ, ბუნებრივია, ცდილობ, ყველა შესაძლო ვარიანტი გათვალო და განვითარების შესაძლო ვერსიებზე საკუთარი პასუხები გქონდეს. ჩვენ ამაზე არაერთხელ გვიფიქრია და გვაქვს ჩამოყალიბებული პოზიციებიც. თუმცა, მოლაპარაკებათა პროცესს თან სდევს თავისებურება, რომ შენ, როგორც მომლაპარაკებელი, ვერც ამ მაგიდაზე, ვერც მოლაპარაკების მაგიდაზე ოპონენტთან და ვერც საჯაროდ ყველა შენს შემდგომ ნაბიჯს ღიად არ ამბობ. არ ამბობ სწორედ იმიტომ, რომ არ დააზარალო მოლაპარაკებათა პროცესი. ერთი მხრივ, ყველა შენი კარტი არ გადმოალაგო მაგიდაზე საიმისოდ, რომ შენს ოპონენტს მისცე საშუალება მასზე შენ საწინააღმდეგოდ რეაგირებისა და, მეორე მხრივ, პირიქითაც არ შეიქმნა ისეთი მოლოდინები, რომელმაც შეიძლება გარკვეული ულტიმატუმური ურთიერთობების წინაპირობები შექმნას და ჩაშალოს ეს პროცესი. ამიტომაც დღეს არ გეტყვით იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ პროცესი ჩიხში შევა, რადგან პროცესის ჩიხში შესვლის გამო ჩვენ არ ვმონაწილეობთ ამ პროცესში. რა მოხდება მაგ შემთხვევაში, ამაზე პასუხი ხელისუფლებამ უნდა გასცეს, რადგანაც, თუ შენ ხურავ კარს მოლაპარაკებებისათვის და არაფრის დათმობას არ აპირებ, ეს ნიშნავს იმას, რომ ავტომატურად აღებ მეორე კარს, რომლითაც ქვეყანაში შემოდის არეულობა და ქაოსი. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, აწყობს თუ არა ხელისუფლებას პროცესის ჩიხში შეყვანა და შემდგომ არაპროგნოზირებადი პროცესების განვითარება.

***— დიახ, ვრცელდება ხმები, რომ ქვეყანაში არეულობა და ქაოსი სწორედაც რომ სააკაშვილს აწყობს და გარკვეული ოპოზიციური ძალები რევოლუციებს მასთან შეთანხმებით აანონსებენ...***

— ასეთი ვერსია არსებობს. იცით, მე არ შევალ განსჯაში, თავად ოპოზიციური ძალები რის გამო აკეთებენ ამას, რადგან ამ შემთხვევაში ეს არ არის ჩემი ამოცანა. მოდით, მე ანალიზისთვის დავდებ სურათს და თქვენმა მკითხველმა დასკვნა თავად გამოიტანოს. წინასწარ რევოლუციის გამოცხადება ავტომატურად არასერიოზულობის განცდას იწვევს საზოგადოებაში. მოდით, გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ რა ხდებოდა ტუნისში ან ეგვიპტეში და როგორ მოხდა ეს ყველაფერი. მე ყოველდღე ვეცნობი როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრესას. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არანაირი ნიშნები რევოლუციისა ეგვიპტეში ახალ წლამდე არ არსებობდა, მაგრამ მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა და მივიღეთ რევოლუცია ეგვიპტეში. იგივე სურათი იყო ტუნისშიც.

***— არადა, ზოგიერთი ოპოზიციონერი დარწმუნებულია, რომ ეგვიპტის რევოლუციური სცენარი საქართველოშიც გამეორდება...***

— ეგვიპტე-ტუნისში მომხდარი მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საუბრები წინასწარ რევოლუციებზე ავტომატურად უკარგავს შანსს მართლაც სახალხო, სპონტანური აჯანყების განვითარებას. რევოლუციები სპონტანურად იწყება უმეტეს შემთხვევაში ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო და შემდგომ უკვე პოლიტიკური პარტიები ცდილობენ, მოერგონ ამ ახალ რეალობას და მართონ პროცესი, განსხვავებით ეგვიპტე-ტუნისის სიტუაციისგან, სადაც პოლიტიკური პარტიები საერთოდ არ არსებობდნენ. ჩვენს სინამდვილეში, საბედნიეროდ, პოლიტიკური პარტიები, თუნდაც ჩანასახობრივ მდგომარეობაში, მაინც ვარსებობთ. ანალოგიების გავლება ეგვიპტესთან იქნებოდა არასერიოზული და მეტიც, ძალიან საშიში, რადგან ჩვენ შეიძლება შევუქმნათ მოსახლეობას მორიგი ახალი ილუზიები და ამ დაუსაბუთებლად გაზრდილმა მოლოდინებმა გამოიწვიოს კიდევ ერთი ახალი კრახი და იმედგაცრუება, რომელიც მართლაც კატასტროფულად ნეგატიურ გავლენას მოახდენს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. მე როდესაც ვსაუბრობ იმაზე, რომ ხელისუფლების ზოგიერთ ჯგუფს შეიძლება მართლაც აწყობდეს პროცესის „რევოლუციონიზაცია“, ვსაუბრობ წმინდა პოლიტიკურ პრაგმატულ გათვლებზე და არა იმაზე, რომ ვიღაც ოპოზიციაში ამ თამაშს შეგნებულად თამაშობს. ბევრი ადამიანი შეიძლება მართლაც გულწრფელად ცდილობს, რომ თავისი პოზიცია მაქსიმალურად მკვეთრი ფორმით გამოხატოს და ამას ვერავის დავუშლი, მაგრამ ჩემი აზრით, ემოციები უკან უნდა გადავდოთ და ვიფიქროთ გონებით, ანდა ხელისუფლებას ჭკუითა და გონებით უნდა მოვუგოთ და იმ მოედანზე, რომელსაც პოლიტიკური მოედანი ჰქვია, მხოლოდ ემოციებით არ უნდა ვიმოქმედოთ, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული პოლიტიკა ოდესმე ემოციისგან დაცლილი იქნება. სააკაშვილის დამარცხება ქუჩის გზით დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რა არის ის ფასი და რად შეიძლება გვილირდეს მიშას ხელისუფლებისგან წასვლა, თორემ იმაზე, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, ყველა ვთანხმდებით და ჩვენ, „ქრისტიან-დემოკრატები“, თანმიმდევრულად მივყვებით არჩევნებით ხელისუფლების შეცვლის, მანამდე კი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გზას.

***— გასაგებია და ყველას სურვილია, რომ ქვეყანაში საარჩევნო გარემო გაუმჯობესდეს, თუმცა, თქვენი ზოგიერთი კოლეგა, თქვენგან განსხვავებით, თვლის, რომ ეს არ მოხდება და მათ დაახურეს კიდევაც კუბოს თავსახური...***

— მე არც რევოლუციაზე მოლაპარაკე ფიგურების მიმართ მაქვს ანტაგონისტური დამოკიდებულება. თუ ვინმეს რამეს გაკეთება უნდა, ჩვენ ამისთვის ხელი არასოდეს შეგვიშლია და, ნაცვლად იმისა, რომ „პოლიტიკური რვიანი“ და „რვიანის“ მიდგომები აკრიტიკოს ვინმემ, სჯობს, თავისი საქმე აკეთოს. თუ ისინი შეძლებენ საზოგადოების დიდი ნაწილის მხარდაჭერის მობილიზებას, კარგი იქნება. მეტსაც გეტყვით, ამით ჩვენც ვართ დაინტერესებული, რადგან, როდესაც საზოგადოება მეტად აქტიურია, ხელისუფლებაც ოპოზიციის მოთხოვნებისადმი მეტად დამთმობი ხდება. ამიტომ, ყველას ვურჩევდი, ოპოზიციის მისამართით ქვებისა და აგურების სროლის ნაცვლად, ამ აგურებით საკუთარი შენობა ააშენონ.

**ქეთი ხომერიკი**

# სააკაშვილი ბრეჟნევს მაგონებს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ქვეყანა, რომ მას არავინ უნდა გაუტოლდეს. ამერიკა თვლის, რომ ასეთი ერთპოლუსიანი მსოფლიო მრავალი ათეული წლის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ასე არ თვლის ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია და იგივე ევროკავშირი. მათ მიაჩნიათ, რომ ურთიერთობა ამერიკასა და მათ ქვეყნებს შორის უნდა იყოს თანაბარი. რუსეთი დღეს ის რუსეთი აღარ არის, როდესაც ელცინის დროს ამერიკელები ფეხით აღებდნენ ელცინის კაბინეტის კარს. დღეს სხვა რუსეთია. ამ რუსეთს აქვს თავისი პრეტენზია მსოფლიოში და ცდილობს, ამერიკამ და სხვამაც შეუთანხმოს მთელი რიგი საკითხები მას, იქნება ეს სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირება, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსება, ავღანეთთან მიმართებით თუ სხვა მხრივ, რუსეთი თავისას მოითხოვს. ასეთ დროს, როდესაც არსებობს ქიშპი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პატარ-პატარა პრობლემების შექმნას რუსეთის საწინააღმდეგოდ და ერთ ასეთ პრობლემას ქმნის სააკაშვილი. აქედან გამომდინარე, ის ყოველთვის იქნება მისაღები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ამერიკა სააკაშვილს ყოველთვის ხელს დააფარებს და ყოველთვის იტყვის იმას, რაც ითქვა ბაიდენის ვიზიტის დროს. ასეთი მოსაზრება გამოითქვა მოსკოვში, რომ არსებობს საკითხები, რომლებშიც ამერიკა და რუსეთი ვერ შეთანხმდნენ. პირველ ყოვლისა, ეს არის საქართველოს საკითხი, ანუ საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის დარღვევის საკითხი. ასე რომ, ეს საკითხი აწყობს ამერიკის შეერთებულ შტატებს, იმდენად, რამდენადაც იძლევა შანსს, რუსეთს სააკაშვილის ხელით უჩხვლიტოს რბილ საჯდომში. სააკაშვილი ამ შემთხვევაში არის ამერიკელთა ხელში ის სადგისი, რომელსაც ამერიკელები არცთუ იშვიათად ჩხვლეტენ რუსეთს.

***— ბერნის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დამთავრდა. ქართლი მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები რამდენად რეალური იყო?***

— აშკარად არ არის რეალური. სხვათა შორის, ამას ხაზი გაესვა მოსკოვის შეხვედრის დროს. მედვედევმა ბაიდენთან ლაპარაკის დროს ახსენა, რომ ქართული პრეტენზიები არის პოლიტიკური ხასიათის. მოგეხსენებათ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არ არის პოლიტიკური. რუსეთი დაამტკიცებს, რომ ქართული მხარის მოთხოვნა არის პოლიტიკრი და არა ეკონომიკურ-სავაჭრო, მაშინ ქართულ მხარეს აღარავინ ჰკითხავს, შევა თუ არა რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ჩემი აზრით, ფსოუსა და როკთან ქართველი მებაჟის ჩაყენება ისეთივე აბსტრაქციაა, როგორც ახლა ჩემი მთვარეზე გაფრენა. ეს არის აშკარად მოფიქრებული პრეტენზია. მეორეც, არის აგრეთვე რესეთის მხრიდან საქართველოს პროდუქციაზე ემბარგოს მოხსნა. ეს ის საკითხია, რომელზეც შეიძლება ლაპარაკი და სრულიად დასაშვებია, რომ ამ შემთხვევაში რუსმა გადადგას ნაბიჯი. მაგრამ, ერთი რამ ცხადია, რომ ამას ხელს შეუშლის დიპლომატიური ურთიერთობის არქონა ორ ქვეყანას შორის. როგორ შეიძლება, დაიწყოს ვაჭრობა, როდესაც შენ ქვეყანასთან არ გაქვს არავითარი ურთიერთობა, პირიქით, საომარ ვითარებაში ხარ მასთან. ასე რომ, აქ უკვე თვითონ ქართული მხარეა მოქცეული ჩიხში. თუ საქართველომ არ გადადგა პირველ ყოვლისა ისეთი ნაბიჯი, რასაც ჰქვია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მან თავისი პროდუქცია შეიტანოს რუსეთში ან რუსეთმა მოხსნას ემბარგო საქართველოს საქონელზე. გარდა ამისა, იმისათვის, რომ აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა, ლანძღვაგინება კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა სხვანაირი მოქმედება, რაც განაწყობს რუსეთს დადებითად. ამჟამად რუსეთი განწყობილია უარყოფითად და მხედველობაშია მისაღები მისი ორი ლიდერის — როგორც პუტინის, ისე მედვედევის კატეგორიული განცხადება, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ისინი არავითარ მოლაპარაკებას არ გამართავენ. გარდა ამისა, თუკი მოხდა სასწაული და მათ გადაუხვიეს თავიანთ სიტყვას, ემბარგოც მოხსნეს, აქ უკვე დგება ქართული პროდუქციის ხარისხიანობის საკითხი. არის კი ქართული პროდუქცია ისეთ დონეზე, რომ შეტანისთანავე არ აკრძალოს რუსეთმა მისი გაყიდვა რუსეთის ბაზარზე? მე რაღაც ეჭვი მეპარება, ჩვენი ღვინიდან და მინერალური წყლებიდან გამომდინარე. ასე რომ, ეს არის ისეთი საკითხი, რომელზეც შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ, ის რომ მოგვარდეს, მთელი რიგი ბარიერების გადალახვაა საჭირო.

***— იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე ამ საკითხს დაბლოკავს?***

— საქართველო ამას ვერ დაბლოკავს და ეს ჩანს უკვე, იმიტომ რომ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები ამბობს, პრეზიდენტი ობამა დაპირებულია მედვედევს და ამ დაპირების გამო რუსეთი ძალიან ბევრ დათმობაზე წავიდა ამერიკასთან, როგორც ჩანს, ამერიკა უკვე სხვანაირად მიმართავს საქართველოს, ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას და, სულაც არ არის გამორიცხული, სააკაშვილს ამერიკაში ვიღაცამ ჩასჩურჩულოს ყურში, რომ დღეს ასეა საჭირო და ამით მორჩება ყველაფერი. საქართველო ვერ დაბლოკავს ამ საკითხს, ვინაიდან ის თვითონ აღმოჩნდება დაბლოკილი, იმდენად, რამდენადაც მისი დაყენებული პრობლემა არის პოლიტიკური და არა — სავაჭრო-ეკონომიკური.

# ხელისუფლება რუსული ფულით ფინანსდება

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მოიმართა სხვადასხვა პროპაგანდისტული აპარატი. დიდი ფული იხარჯება პიარზე აქაც და უცხოეთშიც. ხდება ახალგაზრდობის, გაჭირვებული ადამიანების მოსყიდვა. ამან გამოიწვია ის, რომ დღეს მძიმე მდგომარეობაში ვართ. დამშეული ხალხის მართვა ადვილია. ამ მდგომარეობოთ ქართველი ხალხი ხელს პრაქტიკულად მონობას აწერს. ეს არის ტრაგედია. ახლა საჭიროა ზნეობრივი ავტორიტეტი, საჭიროა ის ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ მეტის მოთმენა არ შეიძლება. უცხოეთში დღესაც არავის არ სჯერა, რომ ჩვენთან პენსია 80 ლარია. მასწავლებლის ხელფასი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თბილისის მერიაში დამლაგებლის ხელფასი. ჩვენი პოზიცია ასეთია: იმ ქვეყანას აქვს მომავალი, სადაც მასწავლებლის ხელფასი 1 ლარით მეტია გამგებლის ხელფასზე და უტოლდება მინისტრის ხელფასს. რასაც პენსიონერი ხარჯავს კვებაში, გადასახადებში და ა.შ. იმაზე მეტია, ვიდრე პენსიას იღებს ერთი წლის განმავლობაში. მე ამას გებერნატორობის დროს ვახერხებდი, როცა ბიუჯეტი არ იყო. ახლა კი ამხელა ბიუჯეტია და ხალხს ამადლიან, პირველ კლასელებს ნოუთბუქს ვაჩუქეთო. ქვეყანა ის არის, რომელიც სახელმწიფო დახმარებას უწევს იმ ოჯახებს, სადაც 75 წელს გადაცილებულ მოხუცია და სადაც 7 წლამდე ასაკის ბავშვია. გზები გავიყვანეთო, სამარცხვინოდ აცხადებენ და ხალხს ამადლიან. არადა, ეს გზები სესხით და ვალით არის გაყვანილი. ამ ვალს არათუ ჩვენ და ჩვენი შვილები ვერ გადაიხდიან, შვილიშვილებს გაუჭირდებათ ამ ვალების დაფარვა. ფაქტობრივად, ჯერ არდაბადებული ბავშვების ხარჯზე იგება ჩვენთან გზები. მიკვირს იმ პრეზიდენტების, რომლებიც არ ეუბნებიან სააკაშვილს, რას ერჩი შენ ხალხს, გაზი 5 თეთრი გიჯდება და 51 თეთრად როგორ ყიდიო. კომუნალური გადასახადი ჩვენთან უფრო ძვირია, ვიდრე იგივე ამერიკაში. ამერიკაში მინიმალური ხელფასი 3 500 დოლარია, საქართველოში — 80 ლარი. ხალხი ქუჩაში იმის გამო გამოვიდა, რომ საარსებო მინიმუმი დღეში 2 დოლარი იყო. ვისა აქვს საქართველოში 70%-ს ერთ კაცზე გაანგარიშებით 120 ლარი?! ხალხი გამოიფიტა, აუცილებელ კალორიებს ვერ იღებს. ეს ფაქტობრივად ერის გენოციდია. ეს ხელისუფლება დააჯდა ქართველ ხალხს და სისხლს სწოვს. ამ ხელისუფლებას თუ არ მოვიშორებთ, ხელს მონობას ვაწერთ. მე ამ ბრძოლას მირჩევნია შევეწირო, ვიდრე მონობას შევეგუო. ვდგავარ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ამ ხელისუფლებასთან გარიგებაზე არ წავლენ და ამ ხელისუფლებას ან დაამთავრებენ, ან საქართველოს მოსახლეობას ეტყვიან: მონები ხართ? — იყავით მონები. მე ამ ქვეყნიდან მივდივარ, როგორც ღირსეული კაცი. ჩემი შვილი იტყვის, რომ მას ლაჩარი მამა არ ჰყავდა.

***— როგორ წარმოგიდგენიათ ამ ხელისუფლების გაშვება, რევოლუციის გზით? ხალხი გამოვა ქუჩაში იმ ფონზე, როცა ვხედავთ, როგორ უფრთხილდება თითოეული სამუშაო ადგილს?***

— ერთ რამეს გეტყვით: 4-5 დღის განმავლობაში დადგეს 40 000 ადამიანი ქუჩაში და არავითარი იარაღი არ სჭირდება ამ ხელისუფლებას. როდესაც დაუმორჩილებლობაზეა ლაპარაკი, მე იმის მომხრე ვარ, რომ ხელებშეკრულები მნიშვნელოვან ადგილზე დავდგეთ და არა პარლამენტის წინ. უნდა დავდგეთ იქ, სადაც ხელისუფლება დევს. ხელისუფლება არც პარლამენში და არც პრეზიდენტის სასახლეში არ დევს. ყველა რეგიონში სასახლე აიშენა პრეზიდენტმა. მეტი ამ ქვეყანაში არაფერი აშენებულა. აქ შენდება მხოლოდ ციხეები, პარლამენტი და პრეზიდენტის შენობები. ამ ფონზე, იცით, როგორ ექცევიან ხიზნებს და როგორ უჭირთ მათ საარსებო მინიმუმის შოვნა. ხალხი იქ უნდა დადგეს, სადაც ხელისუფლების საკითხი წყდება, ხელებშეკრული. ვისაც ხელისუფლება შემოგვიგზავნის, ისიც ხელებშეკრული უნდა იყოს და უნდა იცოდეს, რომ ჩვენი რიგებიდან ვერავინ გაისვრის. ჩვენ სწორედ სისუფთავით და სიმართლით, სუფთა ხელებით უნდა გავუშვათ ეს ხელისუფლება. ვინ არის მუბარაქთან შედარებით სააკაშვილი?! ვინ იფიქრებდა, რომ მუბარაქს ვინმე რამეს გაუბედავდა. ნახეთ, რომელი სახელმწიფოებმა მოიშორეს დიქტატორები, რომლებიც ისტორიულად არიან შეჩვეულები, რომ თავზე ვიღაც უნდა აჯდეთ. საქართველოში არის რაიონები, სადაც ბატონი არ ჰყოლიათ. ქართველ კაცს უბრალოდ ვერავინ ვერ ელაპარაკებოდა მთელი ისტორიის მანძილზე. როგორც ამ ქვეყანაში თავდახრილი ვიაროთ, დავწვეთ, წავიქცეთ და ფეხქვეშ გავეგოთ იმ პრეზიდენტს, რომელიც პატარა ხმაურის გამო, მიწაზე ფორთხავდა?!

***— სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას და ხელისუფლების შენარჩუნებას დასავლეთის და რუსეთის ერთობლივ ინტერესებს უკავშირებენ. იკვეთება მისი პოსტიდან გაშვების იგივე ინტერესები?***

— მე ვამბობ, რომ სააკაშვილი დაიწყო კაგებეთი და დღეს ვინც ინარჩუნებს სააკაშვილს, არის კაგებე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელი ისტორიის მანძილზე რუსეთს საქართველოსთან დაკავშირებით ასეთი დამანგრეველი როლი არასდროს შეუსრულებია. რუსეთის მტრის ხატი შეიქმნა და რუსეთის ლანძღვით საქართველოში მოდის რუსული ყაიდის ხელისუფლება და მოდის ანტიქართული, ანტიეროვნული ხელისუფლება. აი, ეს გაგვიკეთა ჩვენ რუსეთმა. ვინ არის ამით მოგებული? — მოგებულია სააკაშვილი, რომელიც სკამზე შეიხივით ზის. მთელი ჩვენი სიმდიდრე სააკაშვილის გუნდის და რუსი მეწარმეების ხელშია. დენიდან დაწყებული, ყველაფერი რუსების ხელშია. ყველაზე დიდი ფული, დაახლოებით 2 მლრდ, რუსეთიდან შემოდის. 2 მლრდ-ს რუსული საწარმოები რომ არიან აქ, ისინი აძლევენ ბიუჯეტს. რუსეთის კაგებეს გენერალმა გენერალოვმა 2 მლრდ მოგება მიიღო ოქროს საბადოებიდან პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანიასთან ერთად და წაიღო ამ ქვეყნიდან. რუსეთის ხალხს უნდა გავაგებინოთ, რომ ჩვენი ურთიერთობები მარადიულია და ხელისუფლებებს ნუ შევწირავთ. ამერიკას შეუძლია ერთი რამ — სააკაშვილი წაიყვანოს, რუსეთს — მოჰყავს. ამაშია საქმე. რუსეთმა მოიყვანა სააკაშვილი. დღემდე საქართველოში ხელისუფლება რუსეთს მოჰყავს, თან რუსეთის ლანძღვით. ამით ესენი ხელისუფლებას ინარჩუნებენ, მთელი ქონება კი რუსეთის ხელში გადადის.

***— ანუ რუსეთის ინტერესების გარეშე საქართველოში ხელისუფლების შეცვლა ვერ განხორციელდება?***

— ხმამაღლა ვამბობ: საქართველოს ამერიკასთან დიდი ურთიერთობების გარეშე მომავალი არ აქვს. საქართველოს ევროპასთან ურთიერთობის გარეშე ძალიან გაუჭირდება წონასწორობის დაცვა მსოფლიოში და საქართველოს რუსეთთან ურთიერთობების დალაგების გარეშე მომავალი არ აქვს. მაგრამ რატომ უნდა გაიძულებდეს რუსეთი ამერიკასთან მტრად გაქციოს? იმიტომ, რომ თვითონ პოლიტიკურად ადვილად თამაშობენ ერთმანეთში. ნახეთ, რა შეფასებები გააკეთა ბაიდენმა რუსეთში და რას ამბობდა საქართველოში. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ ქართულ კონსერვატიზმზე, რომელიც დავით მაღრაძემ შესანიშნავად წარმოადგინა. უნდა ვიაროთ გელათის გზით. ყველას უნდა ვუთხრათ, არავის არ ვერჩით, მაგრამ ნუ დაგვისვამთ აქ პრეზიდენტებს, გვაცალეთ ქართველ ხალხს.

***— რადგან რუსეთი ახსენეთ, შალვა ნათელაშვილის მტკიცებით,*** სააკაშვილი დღესაც რუსეთიდან ფინანსდება რამდენიმე დეპუტატის მეშვეობით, იგივე გოდერძი ბუკიასი, რომლებსაც რუსეთში ბიზნესი აქვთ. თქვენც ფლობთ ასეთ ინფორმაციას?

— ეს გვარები ათჯერ მაქვს დასახელებული. საქართველოს პარლამენტში ორი ათეული პარლამენტარია, რომელსაც ბიზნესი რუსეთში აქვს, რომლებიც რუსეთიდან ფინანსდებიან. ნაციონალური მოძრაობის სიით ის ადამიანები გავიდნენ, რომლებიც „ედინაია როსიამ" დააფინანსა. ბუკიას კარგად ვიცნობ და ნაწყენი დარჩა, როცა მასზე დავწერე. მაგრამ ბუკია იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ სადღაც ბიზნესი აქვს. ბუკია ცუდია იმიტომ, რომ ფეხქვეშ გაეგო სააკაშვილს. ეჭვი მეპარება, რომ ბუკიას სააკაშვილი მოსწონს. იშოვეთ ფული, კი ბატონო. მაგრამ თუ ვინმეს დღეს რუსეთში აქვს ბიზნესი და წინ არის წამოწეული, სწორედ იმ თაობას უნდა უმადლოდეს, რომელსაც ჟიული შარტავას თაობა ჰქვია. შარტავას თაობა ნუ ეგება ფეხქვეშ სააკაშვილს. პირველი მე ვიყავი, ვინც თქვა, რომ მოქალაქეთა კავშირმა 1999 წელს 1 მლნ დოლარი შემოიტანა რუსეთიდან. რუსეთის ვიცე-პრემიერისაგან აიღო ეს ფული. როცა ეს ვთქვი, შევარდნაძემ მითხრა, რა ჭორებს აყოლილხარო. ერთი წლის წინ თვითონ შევარდნაძემ დაწერა ინტერვიუში, რომ 1 მლნ დოლარი მართლა შემოიტანესო. გენერალოვის შემოსვლის ერთ-ერთი პირველი წინააღმდეგი მე ვიყავი. დღეს ამ საბადოებში ვინ მუშაობს? — სააკაშვილის ხელისუფლების ცოლები და ოჯახის წევრები მუშაობენ ამ რუსულ კომპანიებში. რუსეთში რომ აქვთ ბიზნესი ქართველებს, ეს კი არ არის პრობლემა. სააკაშვილს ნუ აძლიერებენ. მიკვირს, როგორ უჭერენ მხარს იმ ხელისუფლებას, რომელმაც ბიზნესმენები გაყვლიფა. ყველამ იცის, რომ სააკაშვილის ოჯახი არის „ვისოლის", სადაზღვევო კომპანიების წილში და ა.შ. დეპუტატი კოხოძე ავიღოთ, რუსეთიდან აქვს შემოტანილი ფული. 600 000 ლარი გადაურიცხა არჩევნების დროს ნაციონალურ მოძრაობას. ვერც ერთ მეწარმეს ვერ მაჩვენებთ, რომელიც ხმამაღლა ამბობს, რომ ოპოზიციას აფინანსებს. დავით გამყრელიძემ თქვა, პრეზიდენტობის კანდიდატად კენჭს რომ ვიყრიდი, 200 ჩემს კოლეგას — მეწარმეს გავუგზავნე წერილი და 1 თეთრი არავინ გადმორიცხაო. ვერ გაბედეს. ნუ ჰგონიათ, რომ ხელისუფლება რომ შეიცვლება, ამათ დაიჭერენ. დაჭერებით ქვეყანა არ შეიცვლება.

***— ანუ ამ ხელისუფლებას ყველაფერი უნდა შერჩეს?***

— ამ ხელისუფლებას არაფერი არ უნდა შერჩეს. ვინც უკანონობა გაყიდა, ის უნდა დავიჭიროთ. მაგრამ ვინც უკანონობა იყიდა, იმას ნუ ვერჩით. ეს მეწარმეები დღეს ათჯერ მდიდრები იქნებოდნენ, და საქართველოც ბევრად მდიდარი იქნებოდა ეს ხელისუფლება, სისხლს რომ არ სწოვდეს. ყველა დიდი მეწარმე ქუთაისიდანაა — კურტანიძე, ფხაკაძე. მაგათ ვეუბნები: ნამუსი არა გაქვთ? რატომ ეგებით ფეხქვეშ სააკაშვილს. თუნდაც კონიაკის ბიზნესი რომ აქვს გუჯა ბუბუტეიშვილს, ვეკითხები: ქუთაისიდან დაიწყეთ ყველაფერი, გუბერნატორი ვიყავი, რამე მითხოვია, ვინმე ჩემიანი ჩაგიჯდათ წილში? აი, ასეთი ხელისუფლება სჭირდება ქვეყანას, რომელიც წილში კი არ ჩაუჯდება, ბიზნესს თავისუფლებას მისცემს. დღეს საქართველოში ყველაზე დიდი მონები არიან ფულიანები. უკანონობა არავის არ უნდა შერჩეს. ამერიკელები და ძალიან ბევრი დღეს ამბობს: კი, უნდა შეიცვალოს სააკაშვილი, მაგრამ მან უსაფრთხოების გარანტია უნდა მიიღოსო. მე ვამბობ, მეწარმის დაჭერა არის ტრაგედია. მაგრამ ვინც მეწარმე აიძულა, რომ უკანონობაზე წასულიყო, იმ ხალხს პასუხი უნდა მოეთხოვოს. ესენი არიან პოლიტიკოსები და არიან ხელისუფლებაში.

## 85 წლის მოხუცი, სავარაუდოდ, ცემით შვილიშვილმა მოკლა

ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში 29 წლის პაატა წულაძემ საკუთარი ბებია, 85 წლის ალექსანდრა წულაძე სავარაუდოდ ცემით მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა. იგი მატარებელს შეუვარდა.

როგორც „ედიაინფოს" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია გოგუაძემ განუცხადა, ინციდენტს მოწმე არ ჰყავს, თუმცა ორი შემთხვევა ერთმანეთს დაემთხვა - ალექსანდრა წულაძის ცხედრის აღმოჩენის შემდეგ რამდენიმე საათში მისმა შვილიშვილმა თავი მოიკლა და ეჭვები, რომ ქალბატონი შვილიშვილმა მოკლა, სწორედ აქედან წარმოიშვა. სავარაუდოდ, პაატა წულაძემ თავი სწორედ საკუთარი ბებიის მკვლელობის გამო მოიკლა.

ალექსანდრა წულაძის ცხედარი სახლში მეზობლებმა აღმოაჩინეს. გოგუაძის თქმით, პაატა წულაძეს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, იგი შესაბამისი მკურნალობის კურსს ხონის ფსიქიატრიულ კლინიკაში გადიოდა, საიდანაც თებერვლის ბოლოს გაწერეს.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. შსს-ს ინფორმაციით, საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

მედიაინფო

# რატომ დასაჯეს ლევან ვეფხვაძე

**დავით ბაქრაძე საკუთარ მოადგილეებს „შემოსწყრა". გასულ კვირას ბაქრა ეს ორი ვიცე-სპიკერის საქციელი არ მოეწონა. ეტყობა, ბალანსის დასაცავად პარლამენტის თავმჯდომარის „რისხვა" უმრავლესობისა და ოპოზიციის ვიცე-სპიკერებს დაატყდათ თავს.**

ნანა მიშელაშვილი

გასული კვირის დასაწყისში დავით ბაქრაძემ შენიშვნა გიგი წერეთელს მასთან ერთად სინქრონში საუბრის გამო მისცა, სამუშაო კვირის ბოლოს კი ლევან ვეფხვაძე დარბაზიდან გააძევა.

ამ პარლამენტში ეს დეპუტატის გაძევების პირველი შემთხვევაა, თანაც, არც მეტი, არც ნაკლები, ბაქრაძემ საკუთარ მოადგილეს დაატოვებინა სხდომათა დარბაზი. ბაქრაძის ნაუცბათევი „გაბრაზების" მიზეზი ის გახდა, რომ ვეფხვაძე ჩაურთველ მიკროფონთან იდგა და დაჟინებით მოითხოვდა მიკროფონის ჩართვას.



მართალია, გასული კვირა პარლამენტში მაინცდამაინც ხმაურიანი არ იყო, თუმცა, ერთმა ვიცე-სპიკერმა — შენიშვნის მიღება და ერთმა გაძევება მაინც „მოახერხა". სხვა ვიცე-სპიკერები იმდენად კარგად იქცეოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ სპიკერს რაიმე „სადამსჯელო ზომებისთვის" არ მიუმართავს.

მას შემდეგ, რაც ბაქრაძემ ვეფხვაძეს დარბაზი დაატოვებინა, პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტების გასახარად იხუმრა, რომ „პროცესი გამოცოცხლდა".

სანამ დარბაზს დაატოვებინებდა, სპიკერმა ვეფხვაძეს შენიშვნა რამდენჯერმე მისცა. არადა, ვიცე-სპიკერი მიკროფონის ჩართვას მაინც ხმამაღლა ითხოვდა. დავით ბაქრაძემ საკუთარი მოადგილე გააფრთხილა, რომ დარბაზს დაატოვებინებდა, რაც სისრულეში მოიყვანა კიდეც.

დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ ვეფხვაძემ ბაქრაძე მიკერძოებულ წამყვანად შეაფასა. „გამოძევების" შემდეგ მან ბრიფინგი ჩაატარა და დავით ბაქრაძეს რიტორიკული შეკითხვით მიმართა: „რატომ გამაძევა პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომათა დარბაზიდან? იმიტომ ხომ არა, რომ ქრისტიან-დემოკრატები თანმიმდევრულად ვიცავთ ბიზნესის ინტერესებს საქართველოს პარლამენტში? იმიტომ ხომ არა, რომ ქრისტიან-დემოკრატებმა საზოგადოებას დავანახვეთ, რამდენად არაკომპეტენტური და დემაგოგი გუნდის წევრები ჰყავს ბატონ დავით ბაქრაძეს იურიდიული კომიტეტისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეების სახით?

რა გახდა სხდომაზე ვეფხვაძისა და უმრავლესობის წევრების კამათის მიზეზი?

დეპუტატები დიდხანს კამათობდნენ ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო დავებში იუსტიციის სამინისტროს ჩართვის გამართლებულობის საკითხზე. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო ბიზნესში არ ერევა და მასზე ზეწოლას არ ახდენს.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა დებატების დროს ოპოზიცია არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულა. კომიტეტის თავმჯდომარისთვის პასუხის გაცემა ლევან ვეფხვაძეს სურდა, მაგრამ ბაქრაძემ მიკროფონი არ ჩაურთო. სპიკერმა საკუთარი გადაწყვეტილება რეგლამენტის მოშველიებით გაამყარა და ლევან ვეფხვაძეს სიტყვა არ მისცა.

სხდომათა დარბაზს მიღმა აღმოჩენილმა ლევან ვეფხვაძემ ჟურნალისტებს აუწყა, რომ ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ახალი ეკონომიკური მიდგომები ფარსია და რეალურად ბიზნესზე წნეხი კიდევ უფრო მკაცრდება.

— როდესაც სამოქალაქო საქმეებზე მოპასუხე იქნება არა რომელიღაც სახელმწიფო უწყება, არამედ პროკურორი, ეს არის ბიზნესის პირდაპირი ტერორი და დაშინება, — ასეთია ლევან ვეფხვაძის მოსაზრება.

ვიცე-სპიკერმა ისიც თქვა, რომ დავით ბაქრაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს რეგლამენტის დარღვევით ორჯერ ჩაურთო მიკროფონი, მას კი სიტყვის თქმის საშუალება არ მისცა. საკუთარი გამოძევება ვეფხვაძემ ასე შეაფასა: „ძალიან უცნაურია, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე საკუთარ მოადგილეს დარბაზიდან აძევებს. ეს უნიკალური პრეცედენტია საქართველოს პარლამენტში".

როგორც ჩანს, ბაქრაძის მიერ გატარებული სანქცია ვეფხვაძეს მაინცდამაინც არ ეწყინა, რადგან ჟურნალისტებს ხუმრობით ისიც უთხრა, რომ „რის თქმის უფლებაც აქვს გოლიათს, იმის თქმის უფლებას არ აძლევენ დავითს".

ლევან ვეფხვაძის დარბაზიდან გამოძევება ფინანსურ სანქციასაც ითვალისწინებს. კერძოდ, რეგლამენტში წერია, რომ პარლამენტის წევრს, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, დაექვითება სანქციის გამოყენების დღის ხელფასი და პარლამენტის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება. თუმცა, ვეფხვაძეს შეუძლია, ფინანსურად არ დაზარალდეს და მომდევნო სხდომის დაწყებამდე წერილობით შეიტანოს დასაბუთებული პროტესტი. ამის შემდეგ პროტესტის განხილვა მოხდება და, თუ ვეფხვაძეს მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, მაშინ ხელფასი აღარ დაექვითება. თუმცა, ამის მიღწევას ლევან ვეფხვაძე, ალბათ, ვერ მოახერხებს და საჯარიმო სანქცია მაინც დაეკისრება.

ვეფხვაძის დარბაზიდან გაძევების საკითხზე ოპოზიციონერმა გიორგი ცაგარეიშვილმა ასე იხუმრა: „სხდომათა დარბაზში ისედაც 3-4 კაცი ბედავს განსხვავებული მოსაზრების დაფიქსირებას და, თუ ასე გაგრძელდა, დარბაზში დარჩებიან ბაქრაძე, მანდატურები და ის ქალბატონები, რომლებსაც „ტარა" გააქვთ დარბაზიდან".

ლევან ვეფხვაძე ამ კვირაში ჯერ ბიუროს დარბაზში დაბრუნდება, შემდეგ კი — სხდომათა დარბაზში. ასე რომ, ვიცე-სპიკერებმა უნდა იცოდნენ, თუ პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად სინქრონში ისაუბრებენ ან მიკროფონის ჩართვას დაჟინებით მოითხოვენ, დავით ბაქრაძე საკუთარ ბერკეტებს აამოქმედებს და „ურჩებს" რეგლამენტირებულად დასჯის.

# დიანა ღურწკაიას დასცინიან

ეკა ირემაშვილი

რუსეთში მოღვაწე ქართველ უსინათლო მომღერალს დიანა ღურწკაიას გაზეთ კომერსანტის ჟურნალისტმა ოლეგ კაშინმა სიბრმავის გამო დასცინა. როგორც „დნი. რუ“ იუწყება, რუსეთში მცხოვრებმა 55-მა საზოგადო მოღვაწემ საგანგებო წერილი შეადგინა, რომელიც რუსული სასამართლო სისტემის დისკრედიტაციის შეწყვეტას მოითხოვს.

55 საზოგადო მოღვაწის პროტესტს ქართველი მომღერალიც შეუერთდა და წერილს ხელი მოაწერა. სწორედ ეს გახდა რუსი ჟურნალისტისთვის დიანას ცინიკურად მოხსენიების საბაბი. როგორც ოლეგმა თავის წერილში აღნიშნა, დიანამ წერილს ხელი ბრმად მოაწერა.

ოლეგ კაშინის ასეთმა ცინიკურმა დამოკიდებულებამ დიანას კოლეგების, რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლების განრისხება გამოიწვია. მომღერალმა ლევ ლეშენკომ ჟურნალისტს შავი იუმორი დაუწუნა და განმარტა, რომ მან დიანას გული უსამართლოდ ატკინა. რუსი ჟურნალისტის არაეთიკურმა გამოთქმამ რუსული შოუბიზნესის წარმომადგენლების გარდა, უნარშეზღუდული ადამიანების უფლებების დამცველი ორგანიზაციებიც გაანაწყენა. მათ ჟურნალისტი ინვალიდების დისკრიმინაციაში დაადანაშაულეს. მათი განცხადებით, ძალიან ცუდია, როცა ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ინვალიდები მხოლოდ სახლში უნდა ისხდნენ და არ იღებდნენ მონაწილეობას სამოქალაქო პროცესებში. საგანგებო წერილზე ხელის მოწერის უფლება მარტო ორხელა, ორფეხა და მხედველ ადამიანებს არ უნდა შეეძლოთ. მათი აზრით, ეს რომ შტატებში მომხდარიყო, ადრესატი აუცილებლად სასამართლოს მიმართავდა, სარჩელს შეიტანდა და პროცესს მოიგებდა კიდეც.

უჩივლებს თუ არა დიანა ღურწკაია ცინიკოს ჟურნალისტს სასამართლოში, ჯერჯერობით უცნობია.

# ზურაბ წერეთელი ისევ პრეზიდენტია

ეკა ირემაშვილი

რუსეთის სამხატვრო აკადემიის საერთო კრების წევრებმა ბევრი ითათბირეს და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს — ქართველი მხატვარი ზურაბ წერეთელი კუთვნილ თანამდებობაზე დატოვეს და აკადემიის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს. კენჭისყრაზე საერთო კრების წევრებმა ზურაბ წერეთლის კანდიდატურა ერთხმად მოიწონეს.

როგორც რუსეთის სამხატვრო აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზეა ნათქვამი, „აკადემია ისწრაფვის აღადგინოს უძველესი სამხატვრო სკოლები არა მარტო მოსკოვში, არამედ პეტერბურგშიც. ძველის აღდგენის პარალელურად, ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი ტექნოლოგიებიც, რომ არ ჩამოვრჩეთ ახალი საუკუნის მაჯისცემას. ზურაბ წერეთლის მუდმივი ზრუნვის საგანი სწორედ სამამულო სამხატვრო სკოლის შენარჩუნება და განვითარებაა, ამიტომ იგი კვლავაც დარჩება აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე და ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს“.

რუსეთის სამხატვრო აკადემიას ზურაბ წერეთელი უკვე 14 წელია ხელმძღვანელობს. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის გადაყენების შემდეგ, რუსეთში აქტიურად დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ ზურაბ წერეთლის ქანდაკებები რუსეთს ამახინჯებდა და მისი ძეგლები დედაქალაქიდან საერთოდ უნდა გაეტანათ, ქართველი მხატვარი და მოქანდაკე მაინც არ ჩერდება და კვლავაც აგრძელებს როგორც ახალი ნამუშევრების შექმნას, ასევე რუსი ახალგაზრდების სახვით ხელოვნებასა და ქანდაკებაში დაოსტატებას.

ზურაბ წერეთელს, რუსეთის ფედერაციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მოქალაქეობაც კი მიანიჭა.


## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში“ ქირავდება 1000 კვ.მ სასაწყობე ფართი I სართულზე. საწყობი არის რკინიგზის ლიანდაგის პირას, შესაძლებელია, ვაგონების დაცლა პირდაპირ, შედის ტრაილერი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65; 34-02-23.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში“ ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უილბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**


# ბაჩო ქაჯაია კინო „საქართველოს“ მენეჯერია

ეკა ირემაშვილი

დედას ბუშტი სერიალიდან „შუა ქალაქში“ და ახმეტელის თეატრის მსახიობი ბაჩო ქაჯაია კიდევ ერთ ახალ სამსახურს შეეჭიდა. კინოთეატრმა „საქართველომ“ მას სრული ნდობა გამოუცხადა და კინოთეატრის გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე დანიშნა.



მსახიობმა უკვე გამართა შეხვედრები კინოთეატრის შემოქმედებით ჯგუფთან და სამომავლო პერსპექტივებიც დასახა. გადატვირთული რეპეტიციებისა თუ გადაღებების პარალელურად, მსახიობს კინოთეატრ „საქართველოს“ სამომავლო გეგმებზე ზრუნვაც დაევალა.

3 მარტს თბილისის კინოთეატრებში „ღამის შოუ სტუდიის“ მიერ გადაღებული ფილმი „ერთხელ შუა ქალაქში“ გამოვიდა, რომელშიც სერიალის გმირები არიან დაკავებული. ბაჩომ, როგორც კინოთეატრ „საქართველოს“ გენერალურმა მენეჯერმა, გადაწყვიტა ფილმის პრემიერა კინოთეატრ „ამირანის“ შემდეგ მის მშობლიურ კინოთეატრშიც გამართულიყო. „ამირანში“ ჩატარებული პრემიერის შემდეგ, „ერთხელ შუა ქალაქის“ შემოქმედებითი ჯგუფი კინოთეატრ „საქართველოშიც“ თეთრი ლიმუზინით მივიდა და ფილმის პრემიერა გრანდიოზულად აღნიშნა. პრემიერის შემდეგ კი ტრადიციული ა ლა ფურშეტი გაიმართა.

ბაჩო ქაჯაია თავის კოლეგებთან ერთად ფილმის მონაწილეც და მათი მასპინძელიც ერთდროულად იყო. მსახიობისთვის ახალი თანამდებობა განსაკუთრებულად რთული და მიუღებელი არ აღმოჩნდა. ბაჩო კინოთეატრის გუნდთან ერთად შეეცდება „საქართველოც“ ისეთივე პოპულარული გახადოს, როგორც კინოთეატრები „რუსთაველი“ და „ამირანია“. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, „საქართველოშიც“ აუცილებლად იქნება ნაჩვენები ის ფილმები, რომლებსაც კინოს მოყვარულ მაყურებელს „ამირანი“ და „რუსთაველი“ სთავაზობენ. როგორც ლაშიკო ამბობს, „საქართველო“ ძალიან მალე ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე კულტურული ცენტრი იქნება.

**ბაჩო ქაჯაია, მსახიობი:**

— კინოთეატრ „საქართველოს“ გენერალური მენეჯერი ვარ და მევალება სრული მმართველობა, მენეჯმენტი.

*— ერკვევით ამ ყველაფერში?*

— მეტ-ნაკლებად ვერკვევი, თან გზადაგზა რაღაცებს ვსწავლობ, თან ჩემი გამოცდილებაც მეხმარება. ამ კინოთეატრს ძალიან დიდი პოტენცია აქვს, მისი შესაძლებლობები სხვა დაწესებულებებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება, პირიქით, აღემატება კიდეც. ძალიან კომპაქტური, ძალიან თანამედროვე კინოთეატრია. მალე ახალი შენაძენები გვექნება, ჩამოგვდის ციფრული სამი დეს გამშვები პროექტორი. კინოთეატრი თანამედროვედ აღჭურვილი არის და კიდევ უფრო აღიჭურვება, ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ და სულ წინ და წინ ვივლით.

*— ისეთივე პოპულარული უნდა იყოს, როგორც კინოთეატრები ამირანი და რუთაველი?*

— რა თქმა უნდა. ვთანამშრომლობთ „ამირანთანაც“ და „რუსთაველთანაც“, პარტნიორული ურთიერთობები გვაქვს. აქაური მაცხოვრებლების გარდა, კინოსეანსებზე ცენტრიდანაც შეუძლიათ გვესტუმრონ და დიდი სიამოვნება მიიღონ.

*— კინოთეატრში ახლა ფილმები გადის?*

— კი, ფილმები გადის, მაგრამ აუცილებლად იქნება მსოფლიო პრემიერებიც და გახდება თანამედროვე კულტურული ცენტრი ამ რაიონში. ნამდვილად საინტერესო შრომაა და იმედი მაქვს, რომ ჩვენი მუშაობა ნაყოფს გამოიღებს.

*— თეატრი, სერიალი, კინოთეატრი, როგორ ასწრებთ?*

— სხვა რა გზა მაქვს?! მეტ-ნაკლებად ვახერხებ. კინო „საქართველოშიც“ არიან ადამიანები, რომლებიც მეხმარებიან თითოეული საკითხის დაგეგმვაში და ყველა საქმე გამომდის.

# ბასა ჯანიკაშვილმა ახალი რომანი დაწერა

ეკა ირემაშვილი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი კიდევ ერთი ქართველი მწერლის შთაგონების წყარო გახდა. ბასა ჯანიკაშვილმა ერთგული მკითხველი წიგნის მაღაზია „სანტა ესპერანსაში“ შეკრიბა და ახალი რომანი „ომობანა“ წარუდგინა. პრეზენტაციაზე ბასას კოლეგები — თანამედროვე ქართველი მწერლები და მისი პროზისა და დრამატურგიის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ. ავტორმა ახალი წიგნიდან ნაწყვეტები თავად წაიკითხა. წიგნი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა. ეს გამომცემლობის მიერ ბასა ჯანიკაშვილის შემოქმედებით გაჯერებული რიგით მესამე წიგნია.

პრეზენტაციაზე წიგნი მრავლად გაიყიდა. მწერალმა კი ავტოგრაფები არ დაიშურა. პრეზენტაციის შემდეგ ლიტერატურული კონკურსი ჩატარდა. დამსწრე საზოგადოებას უნდა დაეწერა ხუთი სიტყვა ომის შესახებ. კონკურსანტებმა ხუთი სიტყვით გადმოსცეს თავისი დამოკიდებულება აგვისტოს ომთან მიმართებაში. გამარჯვებული თავად ბასა ჯანიკაშვილმა გამოავლინა და მას წიგნი ავტოგრაფით გადასცა. საღამოს დასასრულს კი მწერალმა შეკრებილი საზოგადოების შეკითხვებს უპასუხა.

ბასასთვის ეს არ არის პირველი ნაწარმოები, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომზე შექმნა. ამ ომზე შექმნილი მისი პიესის მიხედვით მოსკოვის თეატრი „დოკი“ სპექტაკლს დგამს.

**ბასა ჯანიკაშვილი, წიგნის ავტორი:**

— „ომობანაში“ ორი ომია — მიკროომი, რომელიც ოჯახში ვითარდება და რეალური ომი, რომელიც ოჯახის წევრებს შორის გახსნილი ფრონტის ხაზის მიღმა ვითარდება.

*— რატომ მოგინდათ რომანი ომზე დაგეწერათ?*

— თავად ომზე და ომის გმირებზე წერა, რაღაც გაგებით, შეიძლება ანაქრონიზმიც არის. მედიამ წაართვა ტრაგიზმის განცდა ლიტერატურას. როდესაც ორი წლის მანძილზე ვხედავთ კადრს, დაბომბილი ქალაქის და ქალის, რომელსაც ფეხი არ აქვს და ყვირის მიშველეთო, ფენომენი უნდა იყო, აღწერო ისე, რომ აჯობო ტელევიზიას. შესაძლებელია ამიტომაც გმირობის და ჰეროიზმის აღარავის სჯერა. რიგითი, არაფრით გამორჩეული ადამიანების საუკუნეა. ლიტერატურაც ეპოქის გამოხატულებაა.

*— რომანის დაწერის იმპულსი რამ მოგცათ?*

— „ომობანას“ ერთგვარი მოტივატორი იყო პიესა, რომლისგანაც შემდეგ რომანი გაჩნდა. ერთი წლის წინათ მთარგმნელმა და კრიტიკოსმა, მაია მამალაძემ მწერლებს პიესების შექმნა გვთხოვა ომის თემაზე. პიესის დასრულების შემდეგ მივხვდი, რომ მას სათქმელი კიდევ დამრჩა. სწორედ დარჩენილი სათქმელით და უკვე დაწერილი პიესით დაიწერა „ომობანა“.

*— რომ არა აგვისტოს ომი, ამ რომანს დაწერდით?*

— რა თქმა უნდა, არა, რადგან პაციფისტი ვარ, შეგნებით და მორალით და ცხოვრების წესით. ვფიქრობ, რომ ომი აბსურდია და არ არის გამოსავალი. ეს წიგნიც ამაზეა. ამ რომანით ბევრი რამ ვთქვი — ომი არ არის გამოსავალი, რომ ომით საქმე არ გვარდება და რომ ომამდე არ უნდა მივიდეს საქმე. წიგნში ოჯახში გაჩაღებული ომიც არ არის შემთხვევითი. ისინიც თავად ომში ცხოვრობენ, თუმცა, მკითხველი ძალიან რომ არ დამეზაფრა, ცოტა იუმორიც გავურიე და იმედი მაქვს, მკითხველს მოეწონება.

*— შეგიძლიათ გვითხრათ, რაზეა რომანი?*

— რომანი „ომობანა“ რუსეთ-საქართველოს ომზეა. შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე დაბა სიონში დასასვენებლად წასული ერთი ჩვეულებრივი ოჯახიც ფრონტის წინა ხაზს ემსგავსება, რომელსაც ცოლ-ქმარი ვერა კეკელიძე და გურამ დარჩია აწარმოებენ. პატარა გივიკო დარჩიას მიერ ნასროლი კენჭით აფეთქებული რუსული ავიაგამანადგურებლების ხუთი მფრინავი კი მათი ტყვეა, რომელთაც დახვრეტას უპირებენ, თუმცა, მანამდე ქართული სტუმართმოყვარეობითა და გულთბილი მასპინძლობით აკვირვებენ. რომანის პერსონაჟები კომპიუტერული თამაშის გმირებს ჰგვანან და ჯარისკაცების დახვრეტაც თითქოს მხოლოდ მისიის წარმატებით შესრულებაა, მიუხედავად იმისა, რომ სიონის თავზე ნამდვილი ავიაგამანადგურებლები დაქრიან და რეალურ ბომბებს ყრიან. რომანის მთავარი ხაზი ეს არის, დანარჩენს კი მკითხველი წიგნის წაკითხვისას გაიგებს.





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**
**ახალი ქსელები 700 608**
**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
<u>სწრაფი გადახდის აპარატები</u>

(იხ. მენიუში: სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

# რუსთაველის ფონდმა კონკურსი გამოაცხადა

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა ახალი კონკურსი გამოყენებითი და ტექნოლოგიური კვლევების შემდგომი ხელშეწყობისთვის გამოაცხადა. გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზანია საერთაშორისო ან ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის შექმნა.

ახალი კონკურსის შესახებ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ საგანგებო ბრიფინგი გამართეს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის განცხადებით, გამოყენებით კვლევებს შედეგად უნდა მოჰყვეს ახალი, გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციის, სამრეწველო ნიმუშის შექმნა ან ახალი ტექნოლოგიის შემუშავება და სრულყოფა. ახალი კონკურსის პირობების გაცნობის მიზნით, ფონდის წარმომადგენლები უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში კონსულტაციებს გამართავენ.

საკონკურსო პირობების მიხედვით, პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს, ხოლო ფონდიდან წლიურად მოთხოვნილი თანხა 100.000 ლარს. გამოყენებითი კვლევები საქართველოში გასულ წლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში ფინანსდებოდა, თუმცა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რუსთაველის ფონდმა კონკურსს ახალი, დამოუკიდებელი სახე მისცა.

ახალი კონკურსის გამოცხადებამდე კი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2011 წლის მოკლევადიანი სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო კონკურსის ფარგლებში მარტი-აპრილის თვეში დაგეგმილი ღონისძიებისათვის 11 მეცნიერი დაფინანსდა, რომლებიც საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას.

რუსთაველის ფონდი მოკლევადიან სამოგზაურო საგრანტო კონკურსს 2006 წლიდან ახორციელებს. კონკურსის ფარგლებში მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში გასამგზავრებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღემდე 430-მდე მეცნიერი დაფინანსდა. ამ ყველაფრის საერთო ბიუჯეტი მილიონი ლარია.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოკლევადიანი სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერებს საზღვარგარეთ დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობაში, რათა ინფორმაციის გაცვლით და გამოცდილების გაზიარებით გააძლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და მოხდეს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაცია.

# ფოთის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერაა. თეატრის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, წარმოებაში ჩაეშვა დანიელა ჯანჯიჩის „ყვითელი დღეები“. სპექტაკლი, რომელსაც თბილისიდან მიწვეული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი დავით მღებრიშვილი დგამს, მოგვითხრობს ომის ფონზე განვითარებული სიყვარულის ისტორიაზე. რეჟისორისთვის შერჩეული პიესა მდიდარი მასალაა, რომელსაც ბევრი მსახიობი არ სჭირდება.

გერმანიაში მოღვაწე ახალგაზრდა დრამატურგმა პიესა გლობალურ ომზე დაწერა, ამიტომ პერსონაჟებს არც ეროვნება აქვთ და არც სახელები. მათ ერთმანეთისგან მხოლოდ რელიგია განასხვავებთ. დანიელა ჯანჯიჩი თავის პიესაში აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ომი ადამიანური ტრაგედიის შემოქმედია და მას არასოდეს მოაქვს მშვიდობა და ბედნიერება.

სპექტაკლში სულ სამი ახალგაზრდა მსახიობი მონაწილეობს — მარიკა ბუკია, გია სურმავა და ჯანო იზორია. სპექტაკლში ქალმა არჩევანი ძმასა და ქმარს შორის უნდა გააკეთოს. პერსონაჟები დილემის წინაშე დგებიან, მათ ერთმანეთს ომი აშორებთ. საბოლოოდ ქმარი კლავს მეუღლეს, ხოლო ცოლისძმა სიძეს სიცოცხლეს გამოასალმებს.

სპექტაკლი მუსიკალურად თავად რეჟისორმა დავით მღებრიშვილმა გააფორმა, ხოლო მხატვრობაზე თამუნა ოხიკიანმა იზრუნა. როგორც რეჟისორი განმარტავს, ნებისმიერი ომგამოვლილი ქვეყნისთვის ეს პიესა მეტად მტკივნეული და ახლობელია. დრამატურგის აზრით, არანაირ ომს და იარაღის ჟღარუნს მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოაქვს.

თემა მტკივნეული და ნაცნობია საქართველოსთვის. ფოთის თეატრმა გადაწყვიტა, პროტესტი ომს ასეთი სახით გამოუცხადოს. „ყვითელი დღეების“ პრემიერა ფოთის თეატრში 15 მარტს გაიმართება.

# პოლიციამ ჩარლი შინის სახლი გაჩხრიკა



ქალაქ ლოს ანჯელესის პოლიციამ ხუთშაბათს სკანდალური პოპულარობის მქონე მსახიობის, ჩარლი შინის სახლი გაჩხრიკა. პოლიციელები ცეცხლსასროლ იარაღს და ნარკოტიკებს ეძებდნენ.

პოლიციის წარმომადგენლების თქმით, ჩხრეკა მიზნად მსახიობის მიერ სასამართლო დადგენილების შესრულების შემოწმებას ისახავდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩარლი შინს ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა აქვს აკრძალული.

პოლიციამ შინის სახლის შემოწმების გადაწყვეტილება მსახიობის მიერ სასამართლოს დადგენილების დარღვევის ინფორმაციის მიღების შემდეგ მიიღო. იმავდროულად, ცნობილი არ არის, დადასტურდა თუ არა ჩხრეკის შედეგად პოლიციის ეჭვები.

გაზეთ „ლოს ანჯელეს თაიმსის“ თანახმად, ჩხრეკის დროს ჩარლი შინი პოლიციელებს მაქსიმალურად უწყობდა ხელს.

ბულვარული გამოცემის „თიემზის“ თანახმად, პოლიციელები შინის სახლში ნარკოტიკებს ეძებდნენ და ფსიქიატრიულ კლინიკაში სამკურნალოდ მისი იძულებით გადაყვანა ჰქონდათ განზრახული. მოგვიანებით გამოცემამ ეს ინფორმაცია უარყო.

პოლიცია ჩარლი შინის სახლში პირველად არ სტუმრობს. გაუსლ კვირას პოლიციელები ჩარლი შინს ორი ვაჟიშვილის წასაყვანად ესტუმრნენ, რომლებიც მას ყოფილმა მეგობარმა ქალმა ჩამოართვა.

კანონთან პრობლემები ჩარლი შინს 2009 წლის ბოლოს შეექმნა. მისმა მეუღლემ პოლიციაში წარდგენილ განცხადებაში მსახიობი ოჯახურ ძალადობაში დაადანაშაულა.

ჩარლი შინი თავდაპირველად ამ ბრალდებებს უარყოფდა, მაგრამ მოგვიანებით ყველაფერი აღიარა და გამოძიებასთან გარიგებას დათანხმდა. შედეგად მსახიობს ნარკოლოგიურ კლინიკაში მკურნალობის კურსის გავლა დაავალდებულეს. ჩარლი შინი თავის მორიგ მეუღლეს ბრუკ მიულერს 2010 წელს გაშორდა.

განქორწინების შემდეგ შინმა „აიწყვიტა“. გავრცელდა ინფორმაცია მრავალრიცხოვანი წვეულებების შესახებ. ერთ-ერთი მათგანის შემდეგ იგი კლინიკაში ნარკოტიკების ჭარბი დოზის გამო მოხვდა, თუმცა, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ.

გასულ სამშაბათს ამერიკულმა კომპანია „უორნერ ბრაზერს თივიმ“ ჩარლი შინთან კონტრაქტი დაარღვია. ამ კონტრაქტის თანახმად, შინს პოპულარულ სერიალში „ორნახევარი ადამიანი“ მთავარი როლი უნდა შეესრულებინა.

სერიალის პოპულარობის მიუხედავად, მას შემდეგ, რაც შინმა სერიალის პროდიუსერს ჩაკ ლორეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ფილმი ეთერიდან მოხსნეს.

კონტრაქტის თანახმად, ჩარლი შინს ამ სერიალის თითოეული ეპიზოდისათვის 2 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

კონტრაქტის დარღვევის პასუხად მსახიობმა „უოერნერ ბრაზერსის“ ხელმძღვანელობის და სერიალის პროდიუსერის წინააღმდეგ სასამართლოში 100 მილიონი დოლარის სარჩელი წარადგინა. სარჩელში გადამღები ჯგუფის ინტერესებიც არის წარმოდგენილი, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის მიზეზით მოულოდნელად უმუშევარი დარჩა.

შინის სარჩელის დეტალების შესახებ არაფერია ცნობილი. ზოგადად სარჩელში პროდიუსერი და კომპანიის ხელმძღვანელობა დანაშაულის მსახიობისათვის გადაბრალების მიზნით შეთქმულებაში არიან დადანაშაულებული.

მოამზადა გენადი თვაურმა

## 14 — 29 მარტი ამინდის პროგნოზი

**სოხუმი**

14.03 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 6-7
15.03 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 9-10
16.03 ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 10-11
17.03 ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 12-13
18.03 ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 11-12
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
20.03 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 9-10

**ზუგდიდი**

14.03 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 7-8
15.03 მზე, დღისით — 19-20, ღამით — 10-11
16.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 10-11
17.03 მზე, ღრუბელი, 20-21, ღამით — 13-14
18.03 წვიმა, დღისით — 21-21, ღამით — 12-13
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 11-12
20.03 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 10-11

**ბათუმი**

14.03 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
15.03 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 10-11
16.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 12-13
17.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 14-15
18.03 ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 12-13
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 12-13
20.03 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 9-10

**ქუთაისი**

14.03 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
15.03 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 9-10
16.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 10-11
17.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 13-14
18.03 წვიმა, დღისით — 21-22, ღამით — 12-13
19.03 წვიმა, დღისით — 20-21, ღამით — 11-12
20.03 წვიმა, დღისით — 19-20, ღამით — 11-12

**გორი**

14.03 მზე, დღისით — 11-12, ღამით — 0-1
15.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 1-2
16.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 6-7
17.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 9-10
18.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 10-11
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
20.03 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 8-9

**თბილისი**

14.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 1-2
15.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — 3-4
16.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
17.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 9-10
18.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 9-10
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 8-9
20.03 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8

**გურჯაანი**

14.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — -3 -2
15.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — 0-1
16.03 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 5-6
17.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
18.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 9-10
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 8-9
20.03 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 7-8

**მანგლისი**

14.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -1-0
15.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 6-7, ღამით — 1-2
16.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 5-6
17.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
18.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
20.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 5-6

**დმანისი**

14.03 მზე, დღისით — 1-2, ღამით — -12 -11
15.03 მზე, დღისით — 2-3, ღამით — -9 -8
16.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 7-8, ღამით — -6 -5
17.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — -3 -2
18.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — -1-0
19.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 10-11, ღამით — -2 -1
20.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — -2 -1

გ.თ.



1. ქართველი მწერალი; 2. შლამის თევზი; 3. ბუნებრივი საღებავი; 4. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 5. ... სუმაკი; 6. კუჭი, მუცელი; 7. ერთნაირი სიმაღლის რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა მუსიკაში; 8. ნახევრადძვირფასი ქვა; 9. ვისიმე სატირული მიბაძვა; 10. ქუთაისი ძველად; 11. სამიანი ნარდში; 12. ნოტი; 13. მგალობელი ფრინველი; 14. მხარე, მიდამო; 15. ქალის თავსაბურავი; 16. ქალბატონი (ინგლისურად); 17. სკუმბრია; 18. მრავალსიმიანი საკრავი; 19. პორტუგალიელი ზღვაოსანი; 20. ტურგენევის მოთხრობა; 21. კეთრი; 22. სასაუზმე; 23. ბატონი (ინგლისურად); 24. ...კორო; 25. ტბა დასავლეთ საქართველოში; 26. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 27. სიცივის საპირისპირო; 28. სახელმწიფო ევროპაში; 29. ქაფშია; 30. ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი გმირი; 31. შინაური ცხოველი; 32. მდინარის სადენი ჩაღრმავება.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯუსი; 2. ჯანლი; 3. კაისა; 5. სულორი; 6. ლემბერგი; 9. ენტომოლოგი; 10. როზარიუმი; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. ურნალი; 18. ანსა.

**თარაზულად:** 1. ჯორჯია; 4. მისტრალი; 7. ანჯამა; 8. სექტორი; 12. ოტელო; 13. გურონი; 15. კარტიე; 17. ალი; 19. ალექსანდრია; 20. ვისკი; 21. ქაშაყი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მახვში; 2. ეფელი; 3. რადა; 5. ჩედერი; 6. ქცევა; 7. რეგალია; 11. ზედაშე; 13. არომატი; 14. ფიფქი; 15. ფეიქარი; 16. სექტორი; 17. საცივი; 19. აზოტი; 20. სარი.

**თარაზულად:** 1. მაესტრო; 4. გაუჩო; 8. დიეტა; 9. დუჩე; 10. ვალიზა; 12. ფანდური; 14. ფრაუ; 15. ფანდანგო; 16. სუფლე; 18. გოქჩა; 21. ცაცია; 22. რეგრესი; 23. ტავერნა.

# ქართველებმა უშუალო კონკურენტის ძლევით 2 თასი დაიბრუნეს

**საქართველო — რუმინეთი**
**18:11 (15:6)**

**საქართველო:** ხამაშურიძე, მაჩხანელი, კაჭარავა, ზიბზიბაძე, გუგავა, კვირიკაშვილი, აბუსერიძე, ხინჩაგიშვილი (ჟღენტი 60), ბრეგვაძე (ნატრიაშვილი 68), ზირაქაშვილი, დათუნაშვილი, ვ.მაისურაძე (ნემსაძე 75), ლაბაძე (ჩხაიძე 38), სუთიაშვილი, გორგოძე.
**სათადარიგოები:** სამხარაძე, ჩხიკვაძე, მალაღურაძე.
**2 ლელო:** ზირაქაშვილი, ხამაშურიძე
**1 გარდასახვა:** კვირიკაშვილი
**2 ჯარიმა:** კვირიკაშვილი
**რუმინეთი:** დუმიტრაში, ლემნარუ, კაზანი, დესკალუ, ფერკუ, ვლაიკუ, სურუჯუ, ნერე, ზებეგა, დიმა, ურსაჩე, პეტრე, მაკოვეი, იანუსი, კარპო.სათადარიგოები: რადოი, ვასილე მარიშკარიუ, სოკოლი, პოპირლანი, კალაფეტეანუ, გალი, დუმბრავა.
**1 ლელო:** პოპირლანი
**2 ჯარიმა:** ვლაიკუ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, ევროპის □ერთა თასის□ მე-4 ტურში, რუმინეთს 18:11 სძლია და შარშან დაკარგული □ანთიმოზ ივერიელის□ თასი უშუალო მეტოქის ძლევით დაიბრუნა. ჩვენების მატჩის შემდეგ, ესპანეთმა შინ პორტუგალია დაამარცხა და ამით ნათელი გახდა, რომ „ბორჯღალოსნები“, 2011 წლის □ერთა თასი□, გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ.თუ მეტოქის ძალასა და მის მიერ ჩატარებულ ბოლო მატჩს გავითვალისწინებთ, საქართველოს ნაკრებს გამარჯვების მისაღწევად 20 წუთი ეყო. საწყის მეოთხედში □„ბორჯღალოსნებს“ ყველაფერი გამოსდიოდათ, 2 ლელო გაიტანეს და 15:0 დაწინაურდნენ. ამის შემხედვარე, ტრიბუნაზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი □„ბორჯღალოსანთა“ იოლ, დიდი სხვაობით გამარჯვებას ელოდა, მაგრამ დარჩენილ დროში, ყველაფერი ისე ვერ აეწყო, როგორც საჭირო იყო და რიჩი დიქსონის შეგირდებმა მონაგარს მხოლოდ 3 ქულა შემატეს.

უკრაინასთან და ესპანეთთან დიდი ანგარიშებით მოგებულ შეხვედრებში არა, მაგრამ პორტუგალიასთან და რუმინეთთან საქართველოს ნაკრების ნაკლოვანებები და კოზირები ნათლად გამოჩნდა. □ბორჯღალოსნები□ ძლიერ მოიკოჭლებენ შეტევაში და ხშირ შეცდომებს უშვებენ. ეს იმის ბრალია, რომ ბევრია ტექნიკური წუნი და ხშირ შემთხვევაში, იერიშები სათანადო მიმართულებებით არ ვითარდებოდა და არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ.

სამაგიეროდ, საქართველოს აშკარად გამოასწორა დაცვაში თამაში,



4 მატჩში მხოლოდ ერთი ლელო გაუშვა და ისიც რუმინეთის ნაკრებისგან. ამასთან, მეტოქეებს ქართველთა ნახევარზე გადასვლა უჭირდათ და მათ ოცდაორს თითქმის ვერ უახლოვდებოდნენ, თუმცა, ვლახებს რომ ეყოჩაღათ, შეცდომების გამოყენების შანსი ექნებოდათ და □ბორჯღალოსანთა□ სამწვრთნელო შტაბს ამ კუთხით გარკვეული სამუშაოს გაწევა მართებს. ფაქტია, დაცვაში თავგანწირული თამაშის მიუხედავად, ჩვენები არასწორადაც ირჯებიან, რაც ხშირ ჯარიმებს იქვევს და რუმინელთა დამტყმელს უფრო კარგათ რომ ესარგებლა, ანგარიში სულ სხვანაირი იქნებოდა.

ანგარიში შეხვედრის დებიუტშივე გაიხსნა, როდესაც რუმინელები დაჯარიმდნენ და მერაბ კვირიკაშვილმა კარის გასწვრივ დაახლოებით 38 მეტრიდან ბურთი ძელებშუა გააძვრინა.პირველი წუთების აქტიურობა მალე ლელოში აისახა. □ბორჯღალოსნებმა□ მეტოქის დერეფანი მოიგეს, ჯერ ზირაქაშვილმა, მერე კი გორგოძემ, კარგი დარტყმები განახორციელეს, რუმინელთა ჩათვლის მოედნიდან დაახლოებით ხუთ მეტრში წარმოქმნილი რაქიდან ბურთი კვლავ ზირაქაშვილმა აიტაცა და ლელო დადო, ხოლო კვირიკაშვილმა რეალიზაცია გამოიყენა. განახლდა თამაში და ბურთს კვლავ ქართველები დაეუფლნენ, თედო ზიბზიბაძემ ხაზი გაჭრა, წარმოქმნილი რაქიდან გამოტანილი ბურთი ბესიკ ხამაშურიძემ მიიღო და ლელო გაიტანა, მაგრამ ამჯერად, კვირიკაშვილის რეალიზაცია არაზუსტი აღმოჩნდა — 15:0.

ასეთი დასაწყისის შემდეგ, სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი ქართველთა გაცილებით იოლ მოგებას ელოდა, მაგრამ მასპინძლებს თამაში აერიათ... დაიწყო წუნი და ხარვეზები, შეცდომები შეტევასა და დაცვაში. განსაკუთრებით, მე-2 ტაიმში, როდესაც რუმინელები უფრო მეტად გააქტიურდნენ, შეტევისას, ტრადიციულად, ბურთი წინ უვარდებოდათ.

ტაიმის შუაწელს, ფლორიან ვლაიკუს ჯარიმიდან სხვაობის შემცირების შანსი მიეცა, მაგრამ დაახლოებით 25 მეტრიდან გასატანი ჯარიმა მიზანს ააცილა, თუმცა, ხუთ წუთში მიზანი გაასწორა — 3:15. მალე ჯარიმის შესრულების უფლება კვირიკაშვილმა მიიღო, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. მერე ქართველთა ორი კარგი სალელოვე შეტევა მათივე შეცდომების გამო გამოუყენებელი დარჩა, სულ ბოლოს კი, რუმინელებმა თამაშის ქართველთა ნახევარზე გადატანა მოახერხეს. □ბორჯღალოსნები□ დაცვაში შეუცდომლად გაისარჯნენ და ჩათვლის მოედანი კი არა, საკუთარი 22-იც სათანადოდ დაიცვეს, თუმცა, ბოლოს რუმინელებმა ჯარიმა გამოიყენეს და ტაიმი საქართველოს ნაკრებმა 9-ქულიანი უპირატესობით მოიგო.

მე-2 ტაიმი უფრო ცოცხლად დაიწყო, მაგრამ ბურთზე კონტროლი სტუმრებმა მოიპოვეს. რუმინელებს ორჯერ მიეცათ ჯარიმით სხვაობის შემცირების შანსი, მაგრამ ვლაიკუმ ორჯერვე არაზუსტად დაარტყა, შემდეგ გუგავამ მეტოქის ნახევარზე იყოჩაღა, გადაცემა ჩაჭრა და რუმინელებმა ქართველთა იერიში ჯარიმის ხარჯზე შეაჩერეს, კვირკაშვილმა კი კარის გასწვრივ ოციოდე მეტრიდან ზუსტად დაარტყა — 18:6. რუმინელები კვლავ იერიშზე გადავიდნენ, რადგან ჯარიმიდან მიზანი არ უვარგოდათ, ლელოზე ითამაშეს და შეხვედრის დასრულებამდე ათიოდე წუთით ადრე, ხაზიც გაჭრეს. რეფერიმ ლელო ვერ დააფიქსირა და ვიდეოგამეორება მოითხოვა, მისი არარსებობის პირობებში კი, გვერდით მსაჯს ენდო და ლელო ჩათვალა. კალაფეტეანუმ რეალიზაცია ვერ გამოიყენა, მაგრამ დარჩენილმა დრომ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა.

თამაში, უმეტესად, რუმინელთა ნახევარზე მიმდინარეობდა, კვირკაშვილს ჯარიმა გაუცუდდა, მაგრამ □მუხებმა□ ცენტრალური ხაზის გადალახვა ვერ მოახერხეს. სალელოვე შანსი □ბორჯღალოსნებს□ მიეცათ, თუმცა, ფონს გასვლა არეკნის ხარჯზე სცადეს და კვირიკაშვილმა კვლავ არაზუსტად დაარტყა, მერე კი, სუთიაშვილმა რუმინელთა მოიერიშე, მათსავე 22-ის ხაზთან ისე შებოჭა, ბურთი დააგდებინა და მატჩიც დასრულდა.

— დიდი მადლობა მაყურებელს, რომელიც ბოლომდე გვერდში გვედგა და ჩვენს წარმატებაში საკუთარი წვლილი შეიტანა. მიხარია, რომ □ანთიმოზ ივერიელის□ თასი დავიბრუნეთ. რუმინეთი ჩვენს ჯგუფში ყველაზე ძლიერი მეტოქეა და მათთან რთული შეხვედრა რომ გველოდა, თავიდანვე ვიცოდით. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა, — განაცხადა მატჩის შემდეგ გუნდის კაპიტანმა ირაკლი აბუსერიძემ.

**მატჩის შემდეგ:**

**რიჩი დიქსონი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— ბიჭები ყველაზე მეტად მაყურებელთა სიმრავლემ გაახარა. ორივე გუნდმა ხარისხიანი თამაში აჩვენა. ჩვენ შეხვედრა კარგად დავიწყეთ და კარგი ლელოებიც გავიტანეთ, ისეთები, რომელთა დადებაში ხელის შეშლა მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს გაუჭირდებოდა, მაგრამ წარმატებულ სტარტს შეცდომები მოჰყვა. თუმცა, დაცვაში ძლიერად ვითამაშეთ. მე-2 ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა, ბურთზე კონტროლი დავკარგეთ და მეტოქის ნახევარზე ვერ დავმკვიდრდით. მიუხედავად ამისა, მოხარული ვარ, რომ წარმატებულ სერიას ვაგრძელებთ. მომავალი თამაშისთვის კიდევ უფრო დავიხვეწებით და უფრო ხარისხიან რაგბის ვითამაშებთ. მსოფლიოს თასის წინ, ჩვენ და რუმინეთმა კარგად წავივარჯიშეთ. დარწმუნებული ვარ, იქ ორივე სხვა გუნდით წარვდგებით.

როდესაც ბურთს ვაკონტროლებთ, მას სათანადოდ ვერ ვუფრთხილდებით და ეს ჩვენი სისუსტეა, ამასთან, დასახვეწია ფეხით თამაშიც. თუმცა, თუ აქამდე ანგარიშგასაწევ ძალად საქართველოს ნაკრებში მხოლოდ შერკინება ითვლებოდა, ახლა უკანა ხაზიც დაფასებულია. ლაბაძის ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს და ვფიქრობ, რუსეთის წინააღმდეგ ოპტიმალური შემადგენლობით ვითამაშებთ.

რომეო გონტინეაკი (რუმინეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

□საქართველოს ნაკრების შერკინებისგან ძლიერ თამაშს ველოდი და ასეც მოხდა. პრაქტიკულად, მატჩის ბედი საწყის 15 წუთში გადაწყდა, როდესაც 2 ლელო გავუშვით. პირველ ტაიმში თქვენმა გუნდმა აშკარად დაგვჩაგრა, მაგრამ მე-2 ნახევარი ჩვენ მოვიგეთ. ქართველებმა კარგი დაცვა ითამაშეს და ამის გამო დავმარცხდით. ვეცდებით, მსოფლიოს თასზე სულ სხვა თამაში ვაჩვენოთ.

**სორინ სოკოლი, რუმინეთის ნაკრების კაპიტანი:**

— ჩვენ რამდენიმე წამყვანი მორაგბე გვაკლდა და უმეტესად, რუმინულ კლუბებში მობურთალი ახალგაზრდებით ვითამაშეთ. საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი საფრანგეთის უძლიერეს კლუბებში მოთამაშე სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, თანაც, თქვენ მხარს გულშემატკივართა უდიდესი არმიაც გიჭერდათ. ახალ ზელანდიაში ერთმანეთის პირისპირ მარტონი აღმოვჩნდებით და იქ სულ სხვა თამაში იქნება. დღეს ქართველებმა გვაჯობეს, სწრაფი 2 ლელო გავუშვით და თამაშში დაბრუნება გაგვიჭირდა.ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებთა შეხვედრა საქართველო-რუმინეთის დაპირისპირებიდან 4 საათის შემდეგ დაიწყო. მასპინძლებმა ლელო დებიუტშივე გაიტანეს და ზუსტი რეალიზაციის შემდეგ, ესპანეთი 7:0 დაწინაურდა. სტუმრებმა მალე გარდნერის ჯარიმით უპასუხეს, ხოლო მე-20 წუთზე საპასუხო ლელო გაიტანეს, რეალიზაცია გამოიყენეს და 10:7 დაწინაურდნენ. ეს იყო და ეს. ესპანეთმა, ტრიბუნაზე შეკრებილი 9 ათასი მაყურებლის გასახარად, 31-ე წუთზე, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 37-ე წუთზე გატანილი ჯარიმით ტაიმი 13:10 მოიგო. პორტუგალია დისციპლინაში მე-2 ნახევარშიც მოიკოჭლებდა, რითაც ესპანელებმა კარგად იხეირეს, 4 ჯარიმა გამოიყენეს და 25:10 იმარჯვეს.

ამავე ტურში რუსეთი უკრაინას ეწვია, ერთის წილ 6 ლელო გაუტანა, 4 რეალიზაცია გამოიყენა, ერთხელ ჯარიმაც გაიტანა და 41:5 იმარჯვა.

**სხვა მატჩები:**

**ესპანეთი - პორტუგალია 25:10**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 4 | 4 | 0 | 0 | 153:26 | 18 |
| 2.რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 91:83 | 10 |
| 3.ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 84:111 | 10 |
| 4.პორტუგალია | 4 | 2 | 0 | 2 | 67:74 | 9 |
| 5.რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 61:45 | 6 |
| 6.უკრაინა | 3 | 0 | 0 | 3 | 21:138 | 0 |

**მომდევნო ტური:**

**19 მარტი:** რუსეთი — საქართველო (სოჭი); რუმინეთი — ესპანეთი; პორტუგალია — ესპანეთი.

# ზესტაფონელთა წაფორხილებით მდევრებმა ისარგებლეს

**დინამო — სამტრედია 7:1**

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი.**
**299 მაყურებელი**

***1:0 იელიჩი (3), 2:0 ხმალაძე (11), 3:0 ხუმარაშვილი (24, ს.კ), 4:0 ჯუსი (64), 5:0 არზიანი (71), 6:0 ხმალაძე (73), 7:0 ჯუსი (74), 7:1 გოგიშვილი (89).***

**დინამო:** ლორია, ღონღაძე, ჰომოლა, კაკუბავა, ხმალაძე, ჰაჯიბულიჩი, კოშკაძე, რობერტინიო (კვეკვესკირი, 70), კახელიშვილი (ჯუსი, 62), არზიანი, იელიჩი (ტატანაშვილი, 62).

**სამტრედია:** კეკელიძე, ხუმარაშვილი, გოგია, ენდელაძე, კირთაძე, ჩხიკვაძე (ხვადაგიანი, 46), ბურჯანაძე, ლომაშვილი, ნინუა, იმედაძე (რუხაია, 46), ალავერდაშვილი (გოგიშვილი, 68).

მატჩის უდავო ფავორიტმა, უდავო გამარჯვება მოიპოვა. პრინციპში შედეგი ადვილი გამოსაცნობიც იყო, მაგრამ თუ სხვაობა ასეთი დიდი იქნებოდა, ძნელად პროგნოზირებადი გახლდა. თუმცა, გაჭირვებული □სამტრედიიდან□ არც ეს არ იყო ბოლომდე გასაკვირი.იმის გარდა, რომ კაჭარავას გაწვრთნილებს მიმდინარე სეზონში არც ამდენი გოლი გაუტანიათ ერთ მატჩში და არც ასეთი დიდი სხვაობით მოუგიათ, რუსთავში გამართული ეს ასპარეზობა ერთი რამითაც იყო გამორჩეული — XXII ჩემპიონატში 8 გოლი ერთ შეხვედრაში ჯერ არ გასულა.

დინამოელთა მიერ გაცუდებული მომენტებიც ბევრი ჰქონდათ და სხვაობა უფრო დიდი რომ არ იყო, ამაში თავად არიან დამნაშავეები. მთელი მატჩის მიმდინარეობას ბოლომდე ვერ აღვწერთ და მხოლოდ საგოლე ეპიზოდებით შემოვიფარგლებით.

ანგარიში მე-3 წუთზე გაიხსნა, როდესაც მოედნის ცენტრიდან ალექსანდრე კოშკაძის მიერ გაკეთებულ პასს ერთბაშად ორი დინამოელი, გიორგი კახელიშვილი და პეტარ იელიჩი შეჰყვა. ბოსნიელი თამაშგარე მდომარეობაში იყო, მაგრამ ვინაიდან ბურთს □კახელო□ დაეუფლა, ლაინსმენმა დარღვევა არ დააფიქსირა და მეტოქის საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შესულმა კახელიშვილმა ბოსნიელ ფორვარდს უპასა და მანაც თბილისელთა შეტევას შედეგიანი წერტილი დაუსვა — 1:0.

მე-11 წუთზე ზურაბ არზიანმა, მისივე წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა, სამტრედიელთა მეკარემ დავით კეკელიძემ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და იქვე მყოფმა ლევან ხმალაძემ საგოლედ დაამატა — 2:0.

24-ე წუთზე იმავე არზიანის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კახელიშვილმა თავი წაჰკრა, რის შემდეგ გიორგი ხუმარაშვილს შეეხო და ანგარიშში სხვაობა სამბურთიანი გახდა.

პირველ ტაიმში მეტი გოლი აღარ გასულა, თუმცა, მომენტები, როგორც უკვე გითხარით, მრავლად შეიქმნა.

მეორე ტაიმში □დინამომ□ უფრო მეტჯერ მოახერხა მომენტების რეალიზება:64-ე წუთზე სამტრედიელთა საჯარიმოს მისადგომებიდან კოშკაძემ ბურთი მაღალი ტრაექტორიით გაგზავნა შეცვლაზე იმ წუთის შემოსულმა ჯიუსმა ბურთზე პირველივე შეხება გოლით აღნიშნა — 4:0.

71-ე წუთზე ხმალაძის აზრიანი გადაწყვეტილების შემდეგ არზიანმა კარიერაში პირველი ქართული ბურთი გაიტანა — 5:0.

73-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან კოშკაძის მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ხმალაძემ თავით შეუცვალა მიმართულება და — 6:0.

74-ე წუთზე კოშკაძე ბურთიანად შევიდა მეტოქის საჯარიმოში და ჯუისს საგოლე პასი მისცა — 7:0.

სამტრედიელებმა რაც მოახერხეს, პრესტიჟის გოლი იყო — 89-ე წუთზე □დინამოს□ დაცვას ჩაეძინა და თბილისელთა საჯარიმოში მარჯვნიდან შესულმა მურად გოგიშვილმა, ლორიასაგან მარჯვენა შორეულ კუთხეში გაიტანა — 7:1.

**ტორპედო — სიონი 2:0**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1.599 მაყურებელი**

***1:0, 2:0 მეგრელაძე (21, 56)***

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ფოფხაძე, მაჭავარიანი, ს.თოდუა, ჩიკვილაძე, საბანაძე, სეთურიძე (გუგუჩია, 87), ქებაძე (დ.კირკიტაძე, 82), დილმელაშვილი, დათუნაიშვილი, მეგრელაძე (დოლიძე, 71).

**სიონი:** მერლანი (ბობღიაშვილი, 44), სვანიძე, დიდავა, ლომაია, ლ.ნოზაძე, გოგობერიშვილი, ჩირიკაშვილი (რეხვიაშვილი, 66), ნ.კვასხვაძე (ისიანი, 46), ოქროპირიძე, რ.ჯიქია, კობაური.

მიმდინარე ჩემპიონატში მეორედ მოხდა, როდესაც □ტორპედომ□ 2 გოლი გაიტანა. აქამდე ჩატარებულ მატჩებში რინისპირელები ძირითადად ერთი ბურთით, ან სულაც უგოლოდ კმაყოფილდებოდნენ.

მატჩის წინ ნორმალური სათამაშო ამინდი იყო, მაგრამ თამაშის მსვლელობისას, მცირე ხნით სეტყვაც კი წამოვიდა. თითქმის ერთნაირი მიზნების მქონე გუნდების ჯახი სტუმართა აქტიურობით დაიწყო. საწყისს ოც წუთში ქვემოქართლელები უფრო აქტიურობდნენ, თუმცა, რაიმე ხიფათი მასპინძელთა კართან არ შეუქმნიათ, ხოლო ქუთაისელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა.

21-ე წუთზე, □სიონის□ კარის მიმართულებით სახიფათო საჯარიმო დაინიშნა, რომელიც მეგრელაძემ უზადოდ შეასრულა. მასპინძელთა გოლეადორმა, 25 მეტრიდან დარტყმით, ბოლნისელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა და "ტორპედო" დააწინაურა — 1:0."სიონის" ფეხბურთელებს მაშინვე შეეძლოთ საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ სვანიძის მიერ შესრულებული სტანდარტული მიგინეიშვილის იოლი ნადავლი გახდა. 32-ე წუთზე, მასპინძლებს ანგარიშის გაზრდა, ხოლო მეგრელაძეს დუბლის შესრულება მართებდა. მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა დაჩი ფოფხაძემ, რომელმაც მეურვეები ჩამოიშორა და საჯარიმოში მყოფ მეგრელაძეს ზუსტი პასი მისცა. მცველების გარემოცვაში მყოფმა ქუთაისელთა გოლეადორმა დაარტყა კი მოახერხა, მაგრამ ძალიან უხეიროდ. ამის შემდეგ პირველ ტაიმში საინტერესო არაფერი მომხდარა.

მე-2 ტაიმი ქუთათურთა შტურმით დაიწყო და მათ მალევე შეძლეს ანგარიშში სხვაობის გაზრდა.

თუმცა, გოლამდე რამდენიმე მომენტიც გაანიავეს: სეთურიძემ კარგ დასარტყმელ პოზიციაზე საბანაძე მოძებნა, მაგრამ ნიკამ ზუსტად ვერ დაარტყა. მალე გიორგი დათუნაიშვილმა გაისროლა ძლიერად მეტოქის კარისკენ, თუმცა, დიდავამ ითამაშა თავგანწირვით და თავისი გუნდის კარი ხიფათს აშკარად გადაარჩინა. იმავე წუთს, დილმელაშვილის მიერ მოწოდებულ კუთხურს ქებაძემ შეაგება ნახტომში თავური. ბურთი ბოლნისელთა კარი ამჯერად ხარიხამ იხსნა. ორიოდ წუთში, საბანაძემ საჯარიმოში მოძებნა მეგრელაძე, რომელმაც ორიგინალურად ითამაშა, ბურთი გაატარა და უკეთეს პოზიციაზე მყოფ ქებაძეს დაუთმო, თუმცა საბოლოო დარტყმა არაზუსტი გამოდგა.56-ე წუთზე კი, ქუთაისელთა უპირატესობამ ნაყოფიც გამოიღო — მოედნის ცენტრიდან შეტევა მაჭავარიანმა წამოიწყო, რომელმაც ბურთი დათუნაიშვილს გადააწოდა. გიორგიმ ძლიერად დაარტყა, რომელსაც მცველები გადაელობნენ, მათგან კი მეგრელაძეს მიუვიდა და

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# სტუდენტებმა არმიას ლიდერობა ჩამოართვეს

### თსუ — არმია 92:74

**(18:1§, 17:21, 2§:18, 27:1§**

**თსუ:** ჩიტაშვილი (15), ფანჩულიძე (10), კოხრეიძე (6), მიხეილ ბერიშვილი (16), ლონდარიძე (23ქ. 19მ); ხიზანიშვილი (2), გაფრინდაშვილი (17), კორკოტაძე (3), ზურა მაისურაძე

**არმია:** ტუღუში (14), ბოისა (9), პირველაშვილი (15), ბაბიაშვილი (14), ათუაშვილი (9); ბაქრაძე (8), ლევან მოსეშვილი (უმცროსი), შარაბიძე (2), ანატოლი ბერიშვილი (3)

უაღრესად დაძაბული გამოდგა ტურის ცენტრალური შეხვედრა, სადაც ერთმანეთს სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფი □„არმია“□ და თსუ ხვდებოდნენ. ფავორიტად □„არმია“□ ითვლებოდა, რომელსაც მეტოქეზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული და 2-ით ნაკლები წაგება ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაც უაღრესად დაძაბული გამოდგა და იგი □„არმიამ“□ 4 ქულის სხვაობით — 69:65 მოიგო. სატურნირო მდგომარეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სტუდენტებს რევანში ჰქონდათ ასაღები. გავუსწრებთ მოვლენებს და გეტყვით, რომ ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა დავალება 100 პროცენტით შეასრულეს. თსუ-მ 18 ქულის სხვაობით — 92:74 გაიმარჯვა და სრულფასოვანი რევანში აიღო.ამ შეხვედრების პირველმა ტაიმმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. ხან ერთი იყო წინ და ხან მეორე. პირველი ტაიმის ბოლო წამზე, □„არმიის“□ ცენტრალურმა თავდამსხმელმა გიორგი შარაბიძემ, მეტოქის კალათში ორქულიანი მოათავსა და თანაგუნდელები ერთი ქულით — 38:37 დააწინაურა. მართალია, საპასუხო შეტევა მიხეილ ბერიშვილმა ზუსტი სამქულიანით დაასრულა, მაგრამ მსაჯებმა იგი არ ჩათვალეს, რადგან სათამაშო დრო ამოწურული იყო.

შეხვედრის მე-2 ნახევარმა თსუ-ს სრული უპირატესობით ჩაიარა. მთელი გუნდი კარგად თამაშობდა, მათ შორის, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი და ილია ლონდარიძე გამოირჩეოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლონდარიძის კარგი თამაში. ის საუკეთესო იყო, როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. ის, 230 სანტიმეტრი სიმაღლის ცენტრ სერგო ათუაშვილთან ბრძოლაშიც კი ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა. საბოლოოდ, ლონდარიძემ 23 ქულითა და 19 მოხსნით, ორმაგი დუბლი შეასრულა და ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო გახდა.

არმიელთა მხრიდან, ყველაზე მეტი — 15 ქულა, ფორვარდმა გიორგი პირველაშვილმა დააგროვა.

### შსს — სტუ 90:83

**(12:17, 2§:29, 39:25, 21:29**

**შსს:** წივწივაძე (18), ბესო ლეჟავა (15), კოტონი (16), ტუჯანი-ტალბა (10ქ.12მ), დავით ბარბაქაძე (8); ლაფანაშვილი, მარკოიშვილი (6), შერმადინი (13), ტომარაძე (4)

**მთავარი მწვრთნელი:** დავით უსტიაშვილი

**სტუ:** ჩიკვილაძე (42), ვასილ ბერუაშვილი (23ქ. 10მ), გასიტაშვილი, მაჩალაძე (2), კობიძე (4); ჭოხონელიძე (2), ლომოური (6), თევზაძე, ჯანგველაძე (2), ირაკლი ძიძიგური (2), ახალკაცი



დღის პირველ შეხვედრაში ერთმანეთს შსს და სტუ დაუპირისპირდნენ. მართალია, ფავორიტად შსს ითვლებოდა, მაგრამ სტუდენტებმა მეტოქეს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ შორის, გუნდის ერთ-ერთ ლიდერი ბექა ჩიკვილაძე (უკანახაზელი) გამოირჩეოდა, რომელმაც 42 ქულა დააგროვა და მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი (40), რომელიც ილია ლონდარიძეს (თსუ) ეკუთვნოდა, 2 ქულით გააუმჯობესა. ჩიკვილაძის თანაგუნდელმა ვასილ ბერუაშვილმა, 23 ქულითა და 10 მოხსნით, ორმაგი დუბლი მიითვალა. სტუდენტების დიდი მცდელობის მიუხედავად, გამარჯვება მაინც შსს-ს დარჩა 90:83.

ძალოვნების მხრიდან, ყველაზე მეტი — 18 ქულა, გამთამაშებელმა ბექა წივწივაძემ დააგროვა. ორმაგი დუბლის (10ქ. 12მ) ავტორი გახდა წივწივაძის თანაგუნდელი, ჟოლვეტ ტუჯანი-ტალბა.

### სსაუ — ქუთაისი 67:73

**(12:21, 14:29, 22:16, 18:16**

**სსაუ:** არწივიძე (8), ჩაჩანიძე (19), ხანიაშვილი (12), გემაზაშვილი (8), ჯავახიშვილი (1); ტეტელაშვილი, ბააკაშვილი (5), ნანიტაშვილი (3), სიგუა (4), მუმლაძე (7)

**მთავარი მწვრთნელი:** გია კაზანჯიანი

**ქუთაისი:** კვიმსაძე (8), ცეკვავა (20), დიდია (9), გიორგი ბარბაქაძე (16), ბოლქვაძე (7); ტუკვაძე (9), ლომინაშვილი, კოლუაშვილი, ქორიძე (4)

მოგება გაუჭირდა ფავორიტად მიჩნეულ „ქუთაისსაც“□, რომელიც სსაუ-ს ეთამაშებოდა. მართალია, ერთ-ერთ მომენტში სტუმრების უპირატესობამ ოც ქულასაც კი გადააჭარბა, მაგრამ შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე 30 წამით ადრე, ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა — 67:69. სტუდენტებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. მატჩის საბოლოო ანგარიშია 73:67, ქუთათურთა სასარგებლოდ.

ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო იმერელთა გამთამაშებელი გიორგი ცეკვავა, რომლის ანგარიშზეც 20 ქულაა. ცეკვავას ერთი ქულით ჩამორჩა სსაუ-ს უკანახაზელი რეზო ჩაჩანიძე, რომელიც თანაგუნდელთა შორის ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა.

### დინამო — თსსუ 45:72

**(19:23, 7:22, 16:15, 11:12**

**დინამო:** ეძგვერაძე (4), ივანეიშვილი (6), გლუნჩაძე (2), თავამაიშვილი (2), ალხანაიძე (9); პატარაია (12), თვაური (6), შალიკიანი, ირაკლი ცაგარეიშვილი, გულდედავა, ჩაველაშვილი (4)

**თსსუ:** როჯერსი (5), ჭოჭუა (12), ჩაჩიბაია (2), ბექაური (9), დვალიშვილი (22ქ. 12მ); გულისაბედაშვილი (14), იოსებ ლეჟავა, თავართქილაძე, გაბისონია, ნინიაშვილი (8), კეიდია, ფაიქრიძე

კიდევ ერთი ანტირეკორდი დააფიქსირა, თბილისის □„დინამომ“□. თსსუ-დინამოს ჯახი სტუდენტებმა დიდი ანგარიშით — 72:45 მოიგეს. მიმდინარე ჩემპიონატში, ერთ შეხვედრაში 45 ქულაზე ნაკლები არც ერთ გუნდს გაუკეთებია. ძველი „რეკორდი“ (51 ქულა) □„ენერჯი ინვესტს“□ ეკუთვნოდა, რომელიც მე-2 წრის მე-2 ტურში, სტუ-თან დიდი ანგარიშით — 83:51 დამარცხდა.

თსსუ-დინამოს შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელი გახდა სტუდენტების ცენტრალური თავდამსხმელი, აკაკი დვალიშვილი, რომელმაც ორმაგი დუბლი (22ქ. 12მ) შეასრულა.დინამოელთა მხრიდან, ყველაზე მეტი — 12 ქულა, უკანახაზელმა გიორგი პატარაიამ დააგროვა.

### ბათუმი — სოხუმი 71:82

**(14:17, 1§:21, 21:18, 18:24**

**ბათუმი:** ნინუა (5), ელიაშვილი (6), არჩილ ჩხატარაშვილი, ნიკოლოზ ჩხატარაშვილი (5), სანაძე (20); რამიშვილი (2), ივანე მაისურაძე (5), კეშელავა (21), ელიაძე, ყველაშვილი (7)

**სოხუმი:** ფარღალავა (22), ჰარისი (28), ჩლაიძე, შანიძე (9), კარლ დამუსი; კვეტენაძე (3), კანკია (10), რიჩარდ დამუსი (5), ანთაძე (5)

ზღვისპირელთა დაპირისპირება სოხუმელთა გამარჯვებით დასრულდა 82:71დაძაბული მატჩის პირველი პერიოდი სოხუმის 4-ქულიანი უპირატესობით დასრულდა, შეხვედრის პირველი ტაიმიც სტუმრებმა მოიგეს, მაგრამ მესამე პერიოდში მატჩში ქულათა სხვაობა 6-მდე შემცირდა, თუმცა, სოხუმმა თამაში იმავე ტემპში გააგრძელა და საბოლოოდ მეტოქეს დამაჯერებლად, 11-ქულიანი სხვაობით მოუგო.

გამარჯვებულთა მხრიდან 28 ქულით საუკეთესო იუჯინ ჰარისი გახლდათ, ხოლო ბათუმელთაგან 21 ქულა ლაშა კეშელავას ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 16 | 13 | 3 | 1478:1282 | 29 |
| 2.არმია | 15 | 13 | 2 | 1300:1049 | 28 |
| 3. შსს | 15 | 11 | 4 | 1320:1136 | 26 |
| 4. ქუთაისი | 15 | 11 | 4 | 1222:1069 | 26 |
| 5.სოხუმი | 16 | 10 | 6 | 1295:1207 | 26 |
| 6.ენერჯი | 15 | 7 | 8 | 1060:1128 | 22 |
| 7.სტუ | 16 | 5 | 11 | 1286:1371 | 21 |
| 8.თსსუ | 15 | 5 | 10 | 1104:1104 | 20 |
| 9.ბათუმი | 15 | 5 | 10 | 1161:1235 | 20 |
| 10.სსაუ | 16 | 4 | 12 | 1130:1307 | 20 |
| 11.დინამო | 16 | 1 | 15 | 1099:1567 | 17 |

# ზესტაფონელთა წაფორხილებით მდევრებმა ისარგებლეს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

მანაც ერთი შეხებით მეკარისაგან ახლო კუთხეში გაიტანა — 2:0.

ორბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, ქუთათურებს მოწინააღმდეგეზე ზეწოლა არ შეუწყვეტიათ. მათ კიდევ არაერთხელ შეეძლოთ გატანა, მაგრამ საბანაძეს და ჩიკვილაძეს რამდენჯერმე მიზანმა უმტყუნათ. მეტოქის კარზე დაგეშილ ტორპედოელებს გუშინ მეტი აღარ გაუტანიათ და სეზონში 3 გოლის გატანა სამომავლოდ გადადეს.

**მატჩის შემდეგ:**

***გიორგი ყიფშიძე, „სიონის“ მთავარი მწვრთნელი:***

— მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა. მე-2 ტაიმში, ფაქტობრივად, ერთი გუნდი თამაშობდა. გაგვიმართლა, რომ უფრო დიდი ანგარიშით არ დავმარცხდით.

***გია გიგატაძე, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი:***

— გუნდმა კარგად ითამაშა, რაც შედეგზეც აისახა. ასე კარგად "ტორპედოს" მხოლოდ, "ოლიმპის" წინააღმდეგ მატჩი მახსენდება. გია მეგრელაძე ჩვენი გუნდისათვის დიდ ძალას წარმოადგენს. მას კიდევ შეუძლია მომატება, რაც გუნდის თამაშზე დადებითად აისახება.

### ოლიმპი — ბაია 2:0

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი**

*1:0 მოდებაძე (45), 2:0 გეწაძე (73)*

**ოლიმპი:** ბათიაშვილი, მურველაშვილი (ჯაფარიძე 27), კვახაძე, რეხვიაშვილი, დობროვოლსკი, ტყემალაძე, ი.მაისურაძე (ქავთარაძე 76), გეწაძე, დ.ბოლქვაძე, მოდებაძე (გ.ჭელიძე 81), პავლიაშვილი.

**ბაია:** სომხიშვილი, აქუბარდია, აფაქიძე, გამრეკლიძე, როინ ონიანი, სიხარულია, რიგვავა, ვართაგავა (წურწუმია 66), ლომია (კუკავა 89), ქობალია, ეხვაია (სამუშია 79).

რუსთაველებმა დაგეგმილი 3 ქულა მიითვალეს, ამასთან, „ზესტაფონის“□ წაფორხილებით ისარგებლეს და მკვეთრად მიუახლოვდნენ. არადა, მატჩის საწყის 15 წუთში, □„ბაია“□ უკეთ გამოიყურებოდა. დათა რიგვავავს ჩაწოდებულს ირაკლი ქობალიამ უზუსტო დარტყმა შეაგება, შოთა ლომიას ჯარიმა კი ირაკლი ბათიაშვილმა კუთხურზე გადააგდო. ამ ორ მომენტს შორის □„ბაიამ“□ გოლიც გაიტანა, რომელიც თამაშგარეს გამო არ ჩაითვალა — ლომიამ ჯარიმიდან ჩააწოდა, ნიკა აფაქიძემ თავით ყველას დაასწრო და მაღალ კუთხეში გაიტანა.

რუსთაველებმა მხოლოდ ტაიმის შუაწელიდან □გამოფხიზლდნენ, თუმცა, მასირებულ შტურმამდე საქმე არ მისულა. მასპინძლები ბურთს აკონტროლებდნენ, ჯერ დავით ბოლქვაძემ, ხოლო შემდეგ რევაზ გეწაძემ ააცილეს შორიდან.

„ოლიმპმა“ შესვენების წინ გაიტანა — ილია პავლიაშვილმა □„ბაიას“ საჯარიმოში ბოლომდე იბრძოლა, დაკარგული ბურთი მოიპოვა და მოდებაძეს დაუგორა, რომელმაც ახლო მანძილიდან ცაციათი შეაგდო — 1:0.

მე-2 ნახევარშ სტუმრებს შეტევა კი მართებდათ, მაგრამ მეტოქის კართან ხიფათი ერთადერთხელ და ისიც შორიდან დარტყმით, თუმცა, ქობალიამ მიზანი ისე ვერ გაისწორა, როგორც სასჭირო იყო.

„ოლიმპიდან“ კი გატანა რამდენჯერმე მართებდა: ჯერ ალექსანდრე კვახაძეს ეფექტურად დარტყმული კარს ასცდა, შემდეგ კი ტყემელაძეს გაუცუდდა მიზანი. სამაგიეროდ, გეწაძემ ორი საგოლე შანსიდან ერთი გამოიყენა — 83-ე წუთზე რუსთაველი ფეხბურთელი სომხიშვილთან ერთი-ერთზე დარჩა და — 2:0.

**მატჩის შემდეგ:**

***ელგუჯა ქომეთიანი, „ბაიას“ მთავარი მწვრთნელი:***

— ვულოცავ „ოლიმპს“ დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენს უნიათო თამაშს რაც შეეხება, ზოგიერთ ფეხბურთელს წლის საწყის სამ მატჩში არწაგება თავში აუვარდა. თამაშის ხარისხი უნდა გამოვასწოროთ.

***არმაზ ჯელაძე, „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი:***

— კამყოფილი ვარ შედეგით და თამაშის ხარისხითაც. რთულ მატჩს ველოდით, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა თავიანთი თამაში დაიჭირეს და საუკეთესო კუთხით გამოჩნდნენ.

### ზესტაფონი — კოლხეთი 0:0

**ზესტაფონი. დავით აბაში ის სახელობის სტადიონი.**

**1.599 მაყურებელი**

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, ალადაშვილი (შ.გრიგალაშვილი, 64), კობახიძე, გ.ონიანი, ელიავა, ძარია, გორგიაშვილი, აფციაური, ბაბუნაშვილი (ბენაშვილი, 46), დვალი (გელაშვილი, 52), წინამძღვრიშვილი.

**კოლხეთი:** ძაგანია, ინწკირველი, გავაშელიშვილი, მეგრელიშვილი, გეგელია (მოისწრაფიშვილი, 21, მდივნიშვილი, 82)), გელაჭეიშვილი, გოგონაია, გვალია, გულუა, სიჭინავა, სამადაშვილი (წიქარიშვილი, 46).

ჩემპიონობის უმთავრესმა ფავორიტმა და ლიდერმა დაუგეგმავი ქულები დაკარგა. წინა ტურში გოლების ფოიერვერკის მომწყობმა იმერლებმა, უპატრონო და უფულო □„კოლხეთს“ ერთიც ვერ გაუტანეს და მდევრებთან უპირატესობა გაანიავეს.

მატჩის შემდეგ, ქულების დაკარგვით უკმაყოფილო მაყურებელმა, „ზესტაფონის“□ ფეხბურთელებს და სამწვრთნელო კორპუსს მცირედი ობსტრუქცია მოუწყო.

მასპინძლებს მოსაგებად ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ უამრავი საგოლე მომენტის მიუხედავად, მეტოქეები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ.

მატჩის შემდეგ უკმაყოფილო იყო ზესტაფონელთა მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე:**

— მთლიანად უარყოფითად შევაფასებ დღევანდელ შეხვედრას. უპირველესად, ალბათ, ფეხბურთელთა წინასამატჩო განწყობაზე უნდა ითქვას — გუნდი აშკარად მოშვებული ჩანდა. ალბათ საჩემპიონოდ მომართული გუნდი მინდორზე ასეთი განწყობით არ უნდა გადიოდეს.

### სპარტაკი — ვიტ ჯორჯია 0:1

**გორი. ქართლის სტადიონი.**

**199 მაყურებელი**

*0:1 ბეჭვაია (90)*

**სპარტაკი:** გრიშიკაშვილი, ჭაფოძე, ბოიომო, ალავიძე, ოთარიშვილი, მამუჩიშვილი, კლოვისი (ვ.ბოლქვაძე, 46), კილასონია, თუხარელი, დეკანოიძე (უგრეხელიძე, 46), მ. ბარაბაძე (ბუზალაძე, 74).

**ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, ადამაძე, ღანიაშვილი, ხურცილავა, კორიფაძე, ჯანელიძე (გოგიაშვილი, 90), გურეშიძე, კასრაძე, ვასაძე, ბეჭვაია, როსტიაშვილი (ზაქრაძე, 86)

ვეტერინარებმა ბოლო წუთზე გიგა ბეჭვაიას გატანილი გოლის წყალობით მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილი გაიმყარეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 24 | 16 | 3 | 5 | 50:14 | 51 |
| 2.ოლიმპი | 24 | 15 | 5 | 4 | 36:19 | 50 |
| 3.დინამო | 23 | 12 | 7 | 4 | 33:12 | 43 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 24 | 11 | 2 | 11 | 26:28 | 35 |
| 5.ტორპედო | 24 | 8 | 8 | 8 | 14:13 | 32 |
| 6.ბაია | 23 | 8 | 5 | 10 | 22:31 | 29 |
| 7.სიონი | 24 | 6 | 7 | 11 | 16:31 | 25 |
| 8.სპარტაკი | 24 | 6 | 5 | 13 | 24:28 | 23 |
| 9.კოლხეთი | 24 | 6 | 5 | 13 | 16:36 | 23 |
| 10.სამტრედია | 24 | 5 | 5 | 14 | 20:45 | 20 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 12 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 11-11, ჯაბა დვალი (ზესტაფონი), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 10-10.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 14 მარტი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "გამორჩეული სასტუმროები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"გოძილა"** (12) (მ. ბროდერიკი) **03.00** მოამბე **03.20** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფ.**"შინ დაბრუნება"** **11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ.**"შეყვარებულები"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"სიჩუმე"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ.**"ცოდვილი"** 1-ლი ს. **10.00** სერ. **"მიმნდობი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (გან.) **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.30** სერ. **"გაორება"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"რემბო 2"** (18) (ს. სტალონე) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ."ლოზას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სტუმრად იუმორინასთან 23.00 მუსიკალური ლიგა 00.00 მხ. ფ. "ლამაზი ქალი"** (ჯ. **რობერტსი**) (**სუბტ.**) **02.25 მხ. ფილმი "ბოროტების სავანე 3"** (18) (**სუბტ.**) **03.55 მხ.ფ."უცხოები"** (18) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაცვის უფლება"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"უკანასკნელი საჯარიმო"** **14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"ეპოქის ვარსკვლავი"** **23.00** სერ. **"ადვოკატი"** **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"გიორგობისთვე"** **13.30** კონცერტი – დები გოგოჭურის ფოლკლორული ანსამბლი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** სპექტაკლი **"გუშინდელნი"** **17.25** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ნინო"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** მხ. ფილმი **"გალობის რაინდები"** **22.20** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "საპოვნელა" **00.30** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზვარის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსი
2011 წლის 14 მარტი

აშშ დოლარი — 1,713
ევრო —2,3782
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7723
რუსული რუბლი — 0,0605

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-12, ღამით — -3-2

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-17, ღამით — 6-7

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 1-7, ღამით — -12-9

## ამინდის პროგნოზი 14 მარტისთვის





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.:** 14-41-58, 95-90-60.


## ხორვატები თბილისში უძლიერესი შემადგენლობით მოდიან



ხორვატიის ეროვნული ნაკრების თავკაცმა სლავენ ბილიჩმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 26 მარტს საქართველოსთან ოფიციალური და 29 მარტს საფრანგეთთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. თუ იქამდე ვინმე არ დაუშავდათ, ხორვატები თბილისს, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობით ეწვევიან. გამონაკლისი მხოლოდ მიუნხენის "ბაიერნის" დიდი ხნის წინ დაშავებული თავდამსხმელი ივიცა ოლიჩია, რომლის სათბილისო გაცდენა აქამდეც ცნობილი იყო.

ბილიჩის გამოძახებულთა სრული სია კი ასეთია:

**მეკარეები:** ვედრან რუნიე (ლანსი), სტიპე პლეტიკოშა (ტოტენჰემი), დანიელ სუბაშიჩი (ჰაიდუკი);

**მცველები:** ვედრან ჩორლუკა (ტოტენჰემი), იოსიპ შიმუნიჩი (ჰოფენჰაიმი), დანიელ პრანიჩი (ბაიერნი), ივან სტრინიჩი (დნიპრო), გორდონ შინდენფელდი (შტურმი), დეიან ლოვრენი (ლიონი), შიმე ვრსალკო (დინამო, ზაგრები);

**ნახევარმცველები:** დარიო სრნა (შახტარი), ლუკა მოდრიჩი, ნიკო კრანჩარი (ორივე-ტოტენჰემი), ივან რაკიტიჩი (სევილია), ოგნიენ ვუკოიევიჩი (დინამო, კიევი), ტომისლავ დუიმოვიჩი (დინამო, მოსკოვი), ივო ილიჩევიჩი (კაიზერსლაუტერნი), ივან პერიშიჩი (ბრიუგე), მილან ბადელი (დინამო, ზაგრები);

**თავდამსხმელები:** მლადენ პეტრიჩი (ჰამბურგი), ედუარდო (შახტარი), ნიკიცა იელავიჩი (რეინჯერსი).

ბილიჩს კიდევ ოთხი ფეხბურთელი მარქაფაში ჰყავს და საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებს. ესენი არიან: მცველი მანუელ პამიჩი (სპარტა), ნახევარმცველი დომაგოი ვიდა (ბაიერი) და თავდამსხმელები — სრდიან ლაკიჩი (კაიზერი) და მარიო მანძუკიჩი (ვოლფსბურგი).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ასტროპროგნოზი 14 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი კარგად იქნება. **ქალწული** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — არ აყვეთ ემოციებს, თავი შეიკავეთ. **ღრიანკალი**— სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **თხის რქა** — აირჩიეთ ის, რაც მოგწონთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — არ აყვეთ პროვკაციას, თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისაგან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი



— წითელზე მიდის ის, ვისაც ბევრი მწვანე აქვს...

***

მეცნიერებმა შერლოკ ჰოლმსის ვიოლინოს საიდუმლო გამოარკვიეს. მისი ჰანგები ლონდონის ქუჩებს ეფინებოდა, შედეგად ხულიგნებს ფეხები აღარ ემორჩილებოდათ, მძარცველებს — ხელები. არც სექსუალური მოძალადეები იყვნენ კმაყოფილი...

***

— რა საინტერესოა, თუ დავუკვირდებით, მინუსი პლუსის ნახევარია, პლუსი კი ერთბაშად ორი მინუსია...

***

— მამა, რომ გავიზრდები, ცნობილი მომღერალი გავხდები.

— ხეზე სამჯერ დააკაკუნე.

— ან, უფრო უკეთესი ცნობილი მხატვარი ვიქნები.

— ხეზე სამჯერ დააკაკუნე.

— არა, უმჯობესია, ცნობილი მწერალი გავხდები.

— ხეზე სამჯერ დააკაკუნე.

— კი მაგრამ, ხეზე რატომ უნდა დავაკაკუნო?

— იმიტომ რომ, მე და შენ და ყველა ჩვენს გვარში კოდალები ვართ...

*გ. თ.*


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

გთავაზობთ

სუპერპროექტს

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 1

განდი




გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი


## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 4. სინი; 7. ცომის ასაფხეკი ნიჩაბი; 9. რისამე დაზეგვრის განაკვეთების ცხრილი; 11. ქვითკირის სამარე; 12. ძვირფასი ქვა; 13. მამაკაცის მოკლე სამოსი პიჯაკის ქვეშ ჩასაცმელად; 17. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი; 18. მოჭრილი მსხვილი ხე; 19. სამედიატორო სასამართლო; 20. მზესუმზირა.

**შვეულად:** 1. ხელოვნების დარგი; 2. ჩეხური ავტომარკა; 3. გაუშლელი ყლორტი; 5. მტაცებელი ფრინველი; 6. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა რაიმე ზედაპირიდან; 8. ოპტიკური ხელსაწყო; 10. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში; 12. სარტყმელი საკრავი; 14. ზომიერი კლიმატური სარტყელის ველები ჩრდილო ამერიკაში; 15. სურათი ზღვის ხედით; 16. ნაჭდევებიანი ფოლადის ძელაკი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*